

კლ ულმონტი

ქართულური
საკუთარი
სახელები



ანთროპონიმთა ლექსიკონი



გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი — 1986

„ქართველური საკუთარი სახელები“ ანბანოპოინიშთა თავი-
სებური სიტყვარია, რომელიც ჩვეულებრივი ტიპის ლექსიკო-
ნებისაგან იმით განსხვავდება, რომ იძლევა ლექსიკურ ერ-
თეულთა არა განმარტებებს, არამედ გვაჩვენებს მათ წარ-
მოთქმა-მართლწერასა და ხმარების ადგილს წერილობითი
წყაროებისა და ზეპირი ტრადიციის მიხედვით. ამდენად .ის
სანდო დოკუმენტური მასალაა ქართველურ ენათა ანთრო-
პონიმიის სრული ეტიმოლოგიური და არეალური ლექსი-
კონისათვის, რომლის შედგენა მომავლის საშური საქმეა.

ლექსიკონის ეს მეორე გამოცემა მნიშვნელოვნად შევსე-
ბულია ახლად გამოვლენილი მასალით. შეივსო საკუთარ სა-
ხელთა და პეტსახელთა როგორც ადგილობრივი, ისე ნასეს-
ხები ფონდები. ზოგ ნასესხებ ერთეულს ახლავს თარგმანიც.

მეორე შემსახული გამოცემა

4602020000—027

Γ— 186 — 86

M 601 (08) — 86

წინასიტყვაობა

„ქართველური საკუთარი სახელები“, რომელსაც ლექსიკონიც ახლავს, პირველად 1967 წ. გამოიცა და მაშინვე ცხოველი ინტერესი გამოიწვია, როგორც ანთროპონიმთა ლექსიკონის. შედგენის პირველმა ცდამ ჩვენში. იმასთან ერთად, რომ წიგნს რამდენიმე რეცენზია-განმოსმაულება მიეძღვნა, ავტორმა როგორც სპეციალისტთაგან, ისე ქართული სიტყვის მრავალი ქომავისაგან, განსაკუთრებით სტუდენტებისა და პედაგოგებისაგან, დიდძალი გულთბილი წერილი და დამატებითი მასალა მიიღო. მოწოდებული ახალი მასალა ამ გამოცემაში ღრმა მადლიერების გრძნობითა და პატივისცემითაა გათვალისწინებული. ამას დამატა აგრეთვე უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში დიალექტოლოგიურსა და ტოპონიმიკურ ექსპედიციებში აღგილზე შეკრებილი ფონდებიც და მთლიანად სიტყვარი მნიშვნელოვნად შეივსო, თუცა ამ მიზნით რესპუბლიკის ყველა სოფლის ტრადიციის სრულად ასახვა აქ მაინც ვერ მოხერხდა. ამიტომ ნაშრომს, რა თქმა უნდა, სისრულის პრეტენზია არა აქვს და ლექსიკონიც მას პირობით ვუწოდებ. ჩვეულებრივი ლექსიკონისაგან წინამდებარე ნაშრომი იმით განსხვავდება, რომ იძლევა ლექსიკურ ერთეულთა არა განმარტებას ან წარმომავლობაზე მითითებას თუ ეტიმოლოგიას, არამედ გვაჩვენებს მხოლოდ მათ წარმოთქმა-მართლწერასა და ხმარების ადგილს წერილობითი წყაროებისა და ზეპირი ტრადიციის მიხედვით. ამდენად ეს სიტყვარი უფრო მასალაა ქართველურ ანთროპონიმთა შედარებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონისათვის, რომლის გამოცემა მომავლის საშუა-

რი საქმეა. ანთროპონიმთა სრული ლექსიკონის, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, შედგენაკი ისევე როგორც ენის სრული დიალექტური ან განმარტებითი ლექსიკონის შექმნა, მრავალ სიძნელესთან არის დაკავშირებული და, შეიძლება ითქვას, ჯერ კიდევ დიდხანს კეთილ სურვილად დარჩება. სწორად უთქვამს ბრძენ საბას: „სრული გვიან საბოვნელია“.

აქ, შეძლებისდაგვარად, თავმოყრილია როგორც საისტორიო წყაროებში მიმოფანტული, ისე საქართველოს ცალკე რეგიონებში ამჟამად გავრცელებული სახელები და მეტსახელები.

თანამედროვე ტრადიციის ამსახველი მასალა შეკრებილია აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ბარისა და მთის რაიონებში. ისტორიულ კოლხეთში, სვანეთში, თუშ-ფშავ-ხევსურეთსა და ზოგიერთ სხვა რეგიონში მასალის შეკრების მიზნით სპეციალური სამეცნიერო ექსპედიციები მოეწყო: მოვილი იქნა ათას სამასზე მეტი დასახლებული პუნქტი, სადაც აღწერილი და ინფორმატორთა მიერ მოწოდებული სახელები და მეტსახელები უცვლელადაა შეტანილი ნაშრომში. ე. ი. ლექსიკონის შედგენისას გათვალისწინებულია საკუთარ სახელთა როგორც ზეპირი ტრადიცია, ისე დაბადების (მეტრიკის) ძველი და ახალი წიგნების ჩანაწერები, სიგელ-გუჯრების, საისტორიო და საეკლესიო მწერლობის მონაცემები, საქართველოს სსრ სახელმწიფო არქივისა და მშაჩის რესპუბლიკურ არქივში დაცული დოკუმენტები, მოსახლეობის აღწერის ცნობები (XIX ს.), დაბადების (მეტრიკის) წიგნები (1825—1915 წწ.). ერთ სოფელში ჩაწერილი და შემოწმებული მასალა შეჯერებულია მეზობელ სოფლებში შეკრებილ ცნობებთან.

ანთროპონიმთა ძირითადი ფონდი, ადგილობრივიცა და ნასესხებიც, ტრადიციულად საერთო მთელი ეთნიკური საქართველოსათვის და ყველა კუთხეში ერთნაირი სემანტიკით იხმარება. იმისთანა პოპულარული ანთროპონიმების ბარათები, როგორიცაა ა ვ თ ა ნ დ ი ლ, აღმოგვაჩნდა რვაას

ორმოცდასამზე მეტი (დამოწმებული წყაროთა მიხედვით), შოთა — შვიდასზე მეტი, ეთერ — ორასზე მეტი, თამარ — სამასამდის, ხეჩია — ასზე მეტი და ა. შ. ამ ლექსიკურ ერთეულთათვის ყველა წყაროს (ზეპირისა და წერილობითის!) მითითება და ხათი ხმარების სიხშირის ჩვენება დიდ ადგილს დაიკავრდა. ამიტომ წიგნის ამ გამოცემაში საკროდ ვერ ვცანი ცალკე ანთროპონიმების გავრცელების სრული არეალის აღნუსხვა და იგი, როგორც ლექსიკური ერთეული, დავიმოწმე მხოლოდ ერთხელ, ერთი წყაროს ჩვენებით. ამ გზით წლებინ განმავლობაში შეკრებილი მასალა, რომელიც რამდენიმე ათას ბარათს შეადგენდა, დაიხვეწა და იქიდან ლექსიკონში შესატანად მხოლოდ ერთი ნაწილი შეირჩა. უცხოური წარმომავლობის არაპოპულარული და უკანასკნელ ხანებში აქა-იქ გავრცელებული ხელოვსური სახელები ლექსიკონში შეტანილი არ არის. ყველაფერი ეს ამ სიტყვარის თავისებურებაა. თავისებურებაა ისიც, რომ აქ ასე დიდ ადგილს მეტსახელები (თიკუნები) იკვრს. თიკუნი კი ამ სახით არც ერთ სხვა ლექსიკონში არ გვხვდება, პირველად მხოლოდ აქაა გაცოცხლებული. თიკუნების შეკრება კვლავ უნდა გავგრძელებდეს, რადგან ბევრი სახელი, როგორც მკითხველიც კარგად ხედავს, ჯერ კიდევ თიკუნის დონეზე დგან და, ასე ვთქვათ, „ჩუმადაა ხმარებაში“, მაგრამ მათთვის კუთვნილი ადგილის მიჩენა სიტყვარში ბუნებრივადაა ჩათვლილი. ეს ერთნაირად უნდა ითქვას ყველა არეალში (მათ შორის მთიანეთში, კოლხეთში, სვანეთში) შეკრებილი მასალის მიმართაც.

ლექსიკონში, როგორც დავინახეთ, მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა საკუთარ სახელთა ნასესხებ ფონდს, რომელიც შეთვისებულია სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა პირობებში. მათი აღბეჭდვა ლექსიკონში განაპირობა ფართოდ გავრცელებამ ნასესხები ფონდი ქართველურ ანთროპონიმის კი არ აღარბეჭდს, არამედ ამდიდრებს, ეკვემდებარება ჩვენი ენის სტრუქტურულ ნორმებს. ზოგი ნა

სესხები საკუთარი სახელი ისეა გაქართულებული, რომ შემდეგ აქედან გავრცელებულა სხვა ენებში-აც და ქართული წარმოშობის სახელად მიუჩნევი-ათ (მაგ. თამარ, ეთერ და ა. შ.).

შენიშვნები წყაროთა, მთქმელთა. ინფორმა-ტორთა შესახებ წიგნს ერთვის ბოლოს. ზოგიერთ ერთეულს ახლავს წარმომავლობაზე მითითებაც.

ა. ღ.

ადამიანთა საკუთარი სახელები

1. ანთროპონიმია და ანთროპონიმი. ანთროპონიმია (ბერძნ. „ანთროპოს“ — ადამიანი) ლექსიკოლოგიის (ზუსტად: ონომატოლოგიის) ნაწილია, რომელიც ადამიანების საკუთარ სახელთა სისტემას სწავლობს: ანთროპონიმი — ადამიანის საკუთარი სახელია.

საკუთარი სახელი საზოგადოდ, ანუ ონომასტიკონა, ფართო ენებაა და სხვადასხვა სახის სახელთა ერთობლიობას გულისხმობს. ონომასტიკონში ერთიანდება საკუთარი სახელები ადამიანთა — ანთროპონიმები, ტომთა და ხალხთა — ეთნონიმები, ცხოველთა, ფრანველთა, მწერთა — ზოთონიმები, ადგილთა — ტოპონიმები, მდინარეთა, ტბათა, ზღვათა — ჰიდრონიმები, რომლებიც ცალ-ცალკე შეისწავლება. ჩვენი განხილვის საგანს ამკერად ადამიანთა საკუთარი სახელები, ანუ ანთროპონიმები წარმოადგენს.

თანამედროვე ანთროპონიმია საკუთარ სახელებს ორი ასპექტით იკვლევს: დესკრიფტულად (ე. ი. აღწვანდელი ვითარების მიხედვით) და დიაქრონიულად (ე. ი. განვითარების ისტორიის ჩვენებით). ანთროპონიმთა ლექსიკონი კი ასახავს ამ სახელთა სისტემას დესკრიფტულად და დიაქრონიულადაც.

ანთროპონიმი ენის ლექსიკის განუყოფელი ნაწილია და მის სიმდიდრეს გვაჩვენებს. სემანტიკურად იგი თავისებური სიტყვაა, მაგრამ ეს თავისებურება მას ლექსიკის საერთო ფონდიდან ვერ განაკერძობს. ანთროპონიმი წარმოშობითა და ჩამდენადმე ფუნქციით განირჩევა სუბსტანტივის კლასის სხვა თანრიგის სიტყვებისაგან, თორემ გრამატიკულად, სტრუქტურითა და წინადადებაში მოხმარებით, იგი არსებითი სახელია, ოღონდ ისეთი სახელი, რომელსაც, ამ თანრიგის სხვა სიტყვებისაგან განსხვავებით, არ ძალუძს მრავლობითი რიცხვის წარმოება.

საკუთარი სახელი და საზოგადო სახელი ერთერთის საპირისპირო ისეთი სიტყვებია, რომელთაც ინდივიდუალური ნიშანდობლივი თვისებები აქვთ. ა. შანიძის ფორმულა: „სახელი შეიძლება იყოს: საკუ-

თარი და საზოგადოა¹ — სწორედ ამას გულისხმობს. მაგრამ ამასთან ერთად საზოგადო და საკუთარ სახელებს ბევრი რამ აქვთ საერთოც და განსხვავებულიც. ამიტომ მათი აბსოლუტურად გათიშვა და სულ სხვადასხვა პოლუსზე დაყენება მართებული არ იქნება. ყოველი სიტყვა თუ განზოგადებას გულისხმობს, საზოგადო და საკუთარი სახელებიც თითქმის ერთნაირად, ოღონდ მეტ-ნაკლები გამომსახველობით, ასრულებენ ამ დანიშნულებას. მართალია, საკუთარი სახელი აღნიშნავს ერთ პირს, ის აღნიშნავს და არა ახასიათებს საგანს, მაგრამ განზოგადების ძალას რამდენადმე მაინც ინარჩუნებს. ეთერ, შალვა, ასათ, რატი, ქავთარ... ერთსა და იმავე დროს ათეულობით პირსაც ჰქვია, მაგრამ ამ მრავლობაში მაინც კარგად ვარჩევთ ინდივიდს, მის ნიშნებს. ეს ნიშნები, ცხადია, არ არის რომელიმე ეთერისა თუ ქავთარის, როგორც ანთროპონიმთა, კუთვნილება, მაგრამ მაინც ნიშნებია, რომლებიც განზოგადების ელემენტებს შეიცავენ. მთლად ნათელი არ არის ა. რეფორმატსკის აზრი, რომლის თანახმად საზოგადო სახელის გადასვლა საკუთარ სახელთა თანრიგში, უწინარეს ყოვლისა, ნიშნავს გავებითობის დაკარგვას და სიტყვის გადაქცევას შერქმეულ სახელად, ხოლო საკუთარი სახელის გადაქცევა საზოგადო სახელად დაკავშირებულია სიტყვის ახალი გავებით, ახალი „არსებითი ნიშნებით“ შევსებასთან². ზოგი შეკლევარი ამ სახელებს ზომავს მეტად აშორებს ერთუტოს, მათ შორის წყალგამყოფ, რაღაც გადაულახავ ქედებს აღმართავს ხოლმე. ჩვენ კი ამ საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვებში ასეთ სხვაობას ვერ ვხედავთ. ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ საკუთარი სახელი გენეტიკურად იგივე საზოგადო სახელია, ხოლო საკუთარი სახელის გადასვლა საზოგადო სახელთა ჯგუფში და, პირიქით, საზოგადო სახელისა — საკუთარ სახელთა ჯგუფში, დღესაც ბუნებრივი პროცესია. ცნობილი დანიელი ენათმეცნიერი, ო. იესპერსენი, მეტსაც ამბობს: „ლინგვისტური თვალსაზრისით სრულიად შეუძლებელია ზუსტი სადემარკაციო ხაზის გავლება საზოგადო სახელებსა და საკუთარ სახელებს შორის“³. პოლონელი ენათმეცნიერი, ვ. ტაშიკვი, ავტორი ფუძემდებელი შრომისა ძველპოლონურ საკუთარ სახელებზე, უფრო შორს მიდის. მისი სიტყვებით, „არავითარი არსებითი სხვაობა არ არსებობს ონომასტიკურსა და საზოგადო სიტყვებს შორის. აქაც და იქაც გვაქვს სხვადასხვა

¹ ი. შანიძე. ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1, მორფოლოგია, თბ., 1953,

² А. А. Реформатский. Введение в языковедение. М., 1955, гл. 37—38.

³ О. Есперсен. Философия грамматики, М., 1938, гл. 43.

ქრონოლოგიური ფენის ძველსძველი სიტყვებიც, ნასესხები სიტყვებიც. ესენიც და სხვებიც თანაზიარად ავსებენ ერთიმეორეს¹. ეს დასკვნები მკვლევრებს გაკეთებული აქვთ მდიდარი ფაქტობრივი მასალის ჩვენების საფუძველზე. მაგრამ აქედან ზაინც ძნელია იმის თქმა, თითქოს საკუთარ სახელებს აღარ რჩებათ თავიანთი სპეციფიკა, რომელიც მათ განასხვავებს საზოგადო სახელთა სისტემისაგან. საკუთარსა და საზოგადო სახელთა განსხვავებას, ისევე როგორც მათ მსგავსებას, გვერდს ვერ ავუვლით. ამასთან ისიც უნდა ვთქვათ, რომ საკუთარ სახელებს, საზოგადოსაგან განსხვავებით, სპეციფიკური, მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი თავისებურებანიც აქვთ. სპეციფიკას ჩვენ ვხედავთ მათს როგორც გამოყენებაში, ისე, რაც მთავარია, გრამატიკულ სტრუქტურასა და სემანტიკაში.

საზოგადო სახელი, ცხადია, აღნიშნავს, საკუთარი კი სახელს სდებს საგანს. სახელდება თითქოს ორივე მათგანის საერთო თვისებაა. მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნულად. აღნიშნავსა და სახელდებას, წოდებას შორის არსებითი ხასიათის სხვაობაა და თანასწორობის ნიშნის დასმა შეუძლებელია. ამიტომ ამ სახელებს შორის მსგავსებასთან ერთად განსხვავებაც უნდა დაინახოთ. ფოცხვერი, მაგალითად, საზოგადო სახელია, აღმნიშნელი გარკვეული სახის გარეული ცხოველისა; ამ სიტყვით ცხოველთა სამყაროდან გამოიყოფა ერთი სახის გარეული ცხოველი, მაგრამ მოუხედავად ამისა, ის მაინც არ არის საკუთარი სახელი. ამასთან ფოცხვერა უკვე საკუთარი სახელია, რადგან ერთ კონკრეტულ ადამიანს შეეკება. რა განასხვავებს მათ? გამოყენება და სტრუქტურა: ფოცხვერი სტრუქტურულად ბრუნებადი მარტივი სიტყვაა, რომელსაც აქვს ორივე რიცხვი: მხოლოდითიც და მრავლობითიც, ფოცხვერა კი — წარმოქმნილია: -ა აქ დერივატია, მაწარმობელი მოფერებითობისა (კნინობისა), რომლის დართვამ სიტყვა საკუთარ სახელთა თანრიგში გადაიტანა. ამ სუფიქსით წარმოქმნილ საკუთარ სახელს მრავლობითი რიცხვი აღარა აქვს: მრავლობითში დასმა გამოიწვევს მის საზოგადო სახელთა თანრიგში გადასვლას. ანალოგიური სურათი იშლება ჩვენს წინაშე სხვა ამისთანა მაგალითებზე დაკვირვებისასაც (წმრ.: კურდღელი — კურდღლა, სული — სულა, ნადირი — ნადირა, კაცი — კაცია, ვეფხვი — ვეფხვია. ირემი — ირემა...). გამოდის, საზოგადო სახელი ნამდვილად აღნიშნავს საგანს, საკუთარი სახელი ნამდვილად სახელს სდებს. ე. კურილოვიჩის შეხედულებით, მოფერებითობის გადმოცემა, რაც გენეტიკურად დაკავშირებულია საზოგადო სახელთა კნინობითობის გამოხატვის საშუალებ-

¹ В. Т а ш и ц к и й, Место ономастики среди других гуманитарных наук, «Вопросы языкознания», № 2, 1961, с. 11.

ბებთან, წარმოადგენს საკუთარ სახელთა მორფოლოგიურ თავისებურებას, მათ სპეციფიკას¹.

საკუთარ სახელთა სპეციფიკას, ჩვენი აზრით, გვაჩვენებს მათი სემანტიკა და სტრუქტურული თავისებურებანი, სახელდობრ, ნომინაციურობა, მრავლობითი რიცხვის უქონლობა, კნინობით-მოფერებით ფორმათა წარმოება. დებულება: საკუთარი სახელი წარმოადგენს გაქვავებული სახის ენობრივ ფაქტსო, რაზედაც ხშირად ამყარებენ თავიანთ ვარაუდებს ონომასტები, არსებითად ვერ გვაჩვენებს ამ სახელთა შინაგან სამყაროს. საკუთარ სახელთა სტრუქტურა და სემანტიკა, ერთი მხრით, ჰგავს საზოგადო სახელთა სტრუქტურასა და სემანტიკას, მეორე მხრით, განსხვავდება მათგან. ამ მსგავსება-განსხვავების ამპლიტუდის შეფასებისას საჭიროა ზომიერების დაცვა, რადგან საკუთარი სახელები ყოველთვის როდი იმეორებენ ყველა იმ სტრუქტურულსა და სემანტიკურ ნიშან-თვისებას, რასაც საზოგადო სახელები გვაჩვენებენ და, პირიქით, საზოგადო სახელები ყოველთვის ვერ წარმოაჩენენ საკუთარ სახელთათვის ბუნებრივ სტრუქტურულსა და სემანტიკურ თვისებებს. ამ სხვაობას ონომასტები ხშირად სპეციფიკურ კანონებსაც უწოდებენ. მაგალითად, პოლონელი ენათმეცნიერის, ს. როსპონდის აზრით, ენის მრავალი ფაქტი მოწმობს, რომ საკუთარ სახელებს (ამათში იგულისხმება ყველა სახის საკუთარი სახელი: ეთნონიმები, ანთროპონიმები, ტოპონიმები, ჰიდრონიმები და ა. შ.) აქვთ განვითარების მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი სტრუქტურული (არაფონეტიკური) კანონზომიერებანი, რომელთაც, გარკვეული აზრით, შეიძლება ვუწოდოთ ონომასტიკური კანონებით². ეს, ისევე როგორც ა. რეფორმატსკის მსჯელობა საკუთარ და საზოგადო სახელთა შორის არსებული მიჯნის შესახებ³, რამდენადმე ვადაქარბების იერს ატარებს. ა. რეფორმატსკი ამ სახელებს შორის მიჯნას ავლებს გრამატკული ინდექსების მიხედვით: მთლიანად ლექსიკის სისტემაში საკუთარი სახელები თავიანთი „პიპერტროფირებული ნომინაციურობითა“ და სემასიოლოგიური ფუნქციის რედუქციით ობიექტურად უპირისპირდებიან საზოგადო სახელებსო⁴. ავტორი, მართალია, არსებითად სწორად ხედავს სხვაობას იქ. სადაც სხვა მკვლევრები მხოლოდ მსგავსებას ამჩნევენ, მაგრამ ამ სხვაობას მეტად აზვიადებს. ნო-

¹ Е. Курилович. Очерки по лингвистике. М., 1963, стр. 260.

² С. Роспонд. Перспективы развития славянской ономастики, «Вопросы языкознания», № 4, 1962, стр. 12.

³ А. А. Реформатский. Топонимика как лингвистический факт, стр. 9—29.

⁴ А. А. Реформатский, იქვე, стр. 17.

მინაციურობა, ცხადია, საკუთარ სახელებს ერთგვარად გამოყოფს საზოგადო სახელთა სისტემიდან და განკერძოებულად აყენებს, მაგრამ მათ შორის ასე გადაულახავ ზღუდეს მაინც ვერ ქმნის.

საზოგადო სახელი განსაზღვრულ პოზიციასი გვევლინება საკუთარ სახელად (შდრ.: კაცი, ბერი, ფოცხვერი, სული, მშვიდობა, ნაწობა, წყალობა) და, პირიქით, ცალკე საკუთარი სახელები გარკვეულ შემთხვევაში საზოგადო სახელთა თანრიგში გადადიან (შდრ.: კვაჭი, ხულიგანი, რენტგენი, ვოლტა, ბრაუნინგი). ეს გარემოება ჩვენ საკუთარ სახელთა ნიშანდობლივ თავისებურებად მიგვაჩნია. ამიტომ დამაჯერებელი არ არის ა. გარდინერის შეხედულება, რომლის მიხედვით საკუთარ სახელებს არავითარი ნიშნები არა აქვთ¹ და არსებითად ისინი ლექსიკის გარეთ უნდა დავაყენოთ. არა. საკუთარი სახელი ენის ლექსიკის უდავო ნაწილია, სტრუქტურითა და ფუნქციით სპეციფიკური სიტყვაა, რომელიც კი არ ითიშება, არამედ ორგანულად უკავშირდება საზოგადო სახელთა სისტემას.

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ სწორედ საზოგადო სახელთა (ცალკე საგნის, მოვლენის, ცხოველის, ფრინველის, მწერის, მცენარის, ნივთიერების, ხელობა-მოსაქმეობის, სოციალური ყოფისა თუ მდგომარეობის აღმნიშვნელი სხვა სიტყვები) სამყარო არის ის ნოყიერი ნიადაგი, რომელშიაც ისტორიულად სათავეს იღებს ანთროპონიმია. მართალია, ანთროპონიმის ფუნქციით გამოუყენებიათ სხვა თანრიგის სიტყვებიც, მაგრამ აქ ძირითადი მაინც საზოგადო სახელებია და არა ეგ სიტყვები. ამდენად სრულიად კანონზომიერად უნდა მივიჩნიოთ ის მრავლისმეტყველი ფაქტი, რომ წარმოდგენილი დებულება ერთნაირ დასაბუთებას პოულობს ქართველურთან ერთად სხვა ენათა ერთობის მასალაზეც².

ამჯერად ძნელია ანთროპონიმთა სხვა სემანტიკურსა და გრამატიკულ ბუნებაზე უფრო დაწვრილებით მსჯელობა, რადგანაც იგი ენათმეცნიერების თანამედროვე მეთოდებით ჭერ კიდევ არ არის საკმარი-

¹ A. Gardiner. The theory of Proper Names, 2-nd ed., Oxford, 1954, გვ. 43.

² ჩვენი: ქართული ლექსიკოლოგია, თბ., 1964, გვ. 114—115; შდრ.: Н. И. Костомаров. Очерк домашней жизни и нравов великорусского народа в XVI и XVII ст., 1887, 225—226; Г. Чечулин. Личные имена в писцовых книгах XVI в. не встречающиеся в православных святцах, «Библиограф», № 7—8, 1890, 73—74; Д. К. Зеленин. Этимологические заметки. «Филологические записки», вып. 2, Воронеж, 1903, 22—23; А. Соколов. Русские имена и прозвища в XVII веке, Казань, 1891, 2; А. М. Селешев. Происхождение русских фамилий, личных имен и прозвищ, Уч. зап. МГУ, вып. 128, кн. 1, М., 1948, 128—152; В. К. Чычагов. Из истории русских имен, отчество и фамилий (вопросы русской исторической ономастики XV—XVII вв.), М., 1959, 36; А. В. Суперанская. Как вас зовут? Где вы живете? М., 1964, 6—30.

სად შესწავლილი, მაგრამ ეს გარემოება მ-ს-დ-ში ინტერესს კი არ ანელებს, არამედ კიდევ უფრო ზრდის. მეტიც უნდა ითქვას: ანთროპონიმთა გენეზისის, შინაგანი სტრუქტურისა და სემანტიკის საკითხები ჩვენში ჭარბობით არ ქცეულა სისტემატური ძიების საგნად და თვით ანთროპონიმიკაც არ გამხდარა ისეთ სამეცნიერო დისციპლინად, რომელსაც შეეძლებოდა დამოუკიდებელი სიტყვის თქმა და თეორიული ენათმეცნიერების სხვა თანამედროვე დარგებთან გატოლება.

2. ქართველური ანთროპონიმიკა. ზემოთქმული ქართულსა და ქართველურ ანთროპონიმიასაც ეხება. ქართველური ანთროპონიმია იმდენად სუსტადაა შესწავლილი¹, რომ ნადრევია მის გენეზისსა და სპეციფიკური, თვითმყოფი ნიშნების ზუსტად გამოყოფაზე მსჯელობა. ჩვენი ძველი, ქრისტიანობამდელი, ანთროპონიმები ფრაგმენტულადაა შემონახული და არავის უცდია მათი ცოტად თუ ბევრად სრული ნომენკლატურის აღდგენა. გაუთვალისწინებელია საკუთარ სახელთა ბალხური ტრადიცია და თვით ის მასალაც კი, რაც შედარებით მდიდრულადაა ასახული ძველ საისტორიო თხზულებებსა და სიგელ-გუჯრებში. არც აღწერთი მიმოხილვები მოგვეპოვება. ქართული ენისა და კულტურის ისტორიის მკვლევართა ნაშრომებში უპირატესად საუბარია უცხოური წარმოშობის საკუთარ სახელებზე, მათს წყაროებსა და სტრუქტურაზე, ხოლო ქართული და ქართველური ანთროპონიმია არ სარგებლობს იმ ყურადღებით, რისი უეჭველი ღირსიც ის არის.

ძველი ქართული ანთროპონიმიის ცოტად თუ ბევრად სრულად გამოვლენა და შესწავლა შეუძლებელია მისი სისტემური აღწერისა და შეკრების გარეშე. ქართული ანთროპონიმიის ყოველმხრივი ანალიზი და კლასიფიკაცია მაშინ გახდება შესაძლებელი, როდესაც ხელთ გვექნება საჭირო ფაქტობრივი მასალა, სანდოდ დალაგებული და პირველ წყაროებთან შეჭერებული ცნობარები. ძველი ძეგლების გამოცემებისათვის საკუთარ სახელთა საძიებლების დართვა დიდად საჭირო და აუცილებელი საქმეა, მაგრამ მხოლოდ ეს საკმარისი არ არის ქართული ანთროპონიმიის ევოლუციის ძირითადი ტენდენციების გამოსარკვევად და გასათვალისწინებლად.

¹ ქართველური ანთროპონიმიკის რამდენიმე საკვანძო საკითხი (საკუთარ სახელთა ადგილი ენის ლექსიკაში, ქართული, სვანური და მეგრული საკუთარი სახელების წარმოშობა, შედგენილობა, სემანტიკა) განხილულია ჩვენს ნაშრომში: ქართული ლექსიკოლოგია, თბ., 1964, გვ. 114—134. ზოგი ქართული ანთროპონიმიის ეტიმოლოგია და ცნობები ცალკე არაქართული წარმოშობის პოპულარულ საკუთარ სახელებზე წარმოდგენილია ზ. ქ ე მ ბ უ რ ი ძ ი ს ნ ა შ რ ი მ ი შ ი: რა გვქვია შენ? თბ., 1966.

ადგილობრივი ანთროპონიმიის განვითარებას მეტად თავისებური დალი დასვა ქართლის მოქცევა. ქრისტიანული დამწერლობის შემოღებამდის ქართველ ტომებში გავრცელებული წარმართული ანთროპონიმიის თანდათანობით შეაქრონა და დაეწკნეს მისცა ოფიციალურმა მწიგნობრობამ. ქრისტიანობის მიღებას შედეგად მოჰყვა სახელის დარქმევის რიტუალის ვადაცლა სამოღვაწეოების ხელში, ტრადიციული ანთროპონიმების განდევნა და კალენდრის სახელების დამკვიდრება. ბუნებრივად შეიზღუდა თავისთავად ანთროპონიმიის არეალი და საეკლესიო ცენტრების, მასობლად მდებარე პროცინციებში თითქმის მთლიანადაც წარახოცა პირისაგან ნიწისა. მართალია, იგი ცოცხლობდა, ტრიალებდა ხალხში და შთამომავლობასაც გადაეცემოდა, ე. წ. მეორე (არაკალენდრის) სახელის სახით, მაგრამ ხმარების ოფიციალური გზა მას დახშული ჰქონდა. შუა საუკუნეებში უკვე თითქმის საყოველთაოდ გავრცელდა ქრისტიანული კალენდრის სახელები, მაგრამ ხალხი ადვილად მიინც ვერ შეეგუა საუკუნოვანი ტრადიციის ერთბაშად აღკვეთას. ტრადიციული სახელების ნაცვლად ახლის, უცხოურის, დამკვიდრება, ჩანს, უმტკივნეულოდ ვერ მიმდინარეობდა და წინააღმდეგობასაც აწყდებოდა ხოლმე. ამ წინააღმდეგობის კვალი ჩანს ძველ საისტორიო და საერო მწერლობაშიაც. „ქართლის ცხოვრების“ უძველეს რედაქციებსა და VIII—XVIII საუკუნეთა სიგელ-გუჯრებში აშკარად გამოსკვივის ორი ტენდენციის ბრძოლა, მაგრამ ამავე დროს იგრძნობა საკუთარ სახელთა ტრადიციული ნომენკლატურის გარკვეული ნაწილის თანაარსებობა კალენდრის სახელთა პარალელურად. შუა საუკუნეების ქართული კულტურის გერმანის, „ვეფხისტყაოსნის“ ანთროპონიმიის უკვე ქრისტიანული ტრადიციის აშკარა უარყოფაა. მართალია, იგი მთლიანად არც წარმართობის აღორძინებას მოასწავებს, მაგრამ საკუთარ სახელთა საეკლესიო ნომენკლატურას რომ არ ცნობს, ეგ იმთავითვე უდავოა. რუსთაველის გენიალური ქმნილება საზრდოობს არა ქრისტიანული კალენდრის, არამედ ძველქართული, აღმოსავლური და დასავლური წარმართული ანთროპონიმიით¹.

ტრადიციული, წარმართული საკუთარი სახელები რელიეფურად შემორჩა მთას (ხეკსურეთი, ფშავი, ხევი, რაჭა, თუშეთი), აგრეთვე სვანეთსა და სამეგრელოს. მისმა მხოლოდ ცალკე ნიმუშებმა გაიკვლიეს გზა VIII—XVIII საუკუნეთა წყაროებში და ამავე დროს ბევრი მათგანი შემორჩა ხალხის ხსოვნასაც. ამისი ნიმუშებია: ასათ, ავაგ, არჯევან, ასან, ბაკურ, ბექა, ბოცო, გოჩა, დაჩი, ვარამ, ვაჩე, ვეშაგ. თა-

¹ დაწვრილებით ჩვენი: „ვეფხისტყაოსნის“ ონომასტიკისათვის, „სოფლის ცხოვრება“, № 193 (1692), 18 აგვისტო, 1966.

და, თაყა, კახა, შამია, მახარა, რატი, ცოტნე, ქავთარ, ჩაგუ, ჭავახ, რო-
დამ, აგუტი, გვანცა...

წარმართული ანთროპონიმების დავიწყებას ხელი შეუწყო ქრის-
ტიანული ეკლესიის მიერ კალენდრის სახელთა სავალდებულოდ გა-
მოცხადებამ. ოფიციალური დოკუმენტებიდან თანდათანობით განი-
დევნა ძველი სახელები, დამკვიდრდა ახალი. XIX საუკუნის 80-იანი
წლების დოკუმენტებში უკვე ტრადიციული სახელები, შეიძლება
ითქვას, აღარ გვხვდება, მათ კვალს მხოლოდ აქა-იქ თუ იპოვის კაცი,
ისიც ხანდაზმულ მამა-პაპათა სახელების სახით, თორემ ჩვეულებრივ
ახალდაბადებულებს ძველ სახელებს აღარ არქმევენ. ამ მხრით ერთ-
ნაირი სურათი გვაქვს მთაშიცა და ბარშიც, სვანეთშიცა და სამეგრე-
ლოშიც.

თანახმად საქართველოს სსრ მმაჩის რესპუბლიკურ არქივში და-
ცულ ახალდაბადებულთა წიგნებისა, მაგალითად, 1886 წელს სოფ. შა-
ტილში (ხევსურეთი) დაბადებულა 46 ბავშვი (ვაჟი — 17, ქალი —
29), რომელთაგანაც ტრადიციული სახელი უწოდებიათ მხოლოდ
ორისათვის (ღვთისო, ამირან), დანარჩენთათვის კალენდრის სახელები
მიუციათ (ვაჟებისათვის: დავითი, გიორგი, გრიგოლ, სოლომონ, იოვან-
ნე, როსტომ, ამასთან დავითი უწოდებიათ ხუთისათვის, გიორ-
გი — სამისათვის, როსტომი და სოლომონი — ორ-ორი-
სათვის; ქალთათვის: მარიამ, ნინო, თამარ, სოფიო და ნანა, ამასთან
მარიამ დაურქმევიათ თორმეტისათვის, ნინო — ხუთისათვის,
თამარ — ოთხისათვის, სოფიო — სამისა და ნანა — ორისათ-
ვის). საგულისხმოა აღინიშნოს, რომ ახალშობილთა მხოლოდ ზოგი-
ერთ მამასა და პაპას შერჩენია ძველი სახელი (გორგალ, ომა, ხუთა,
სუხა, გავა, ბათირ, ხათუთა, წოვა, ხახი, ბეკო, იჩო, ბაქყურა, როყუ-
რა, სანალი, ოდინა, ჟოყოლა, ნებიერი), მაგრამ შვილთა და შვილი-
შვილთათვის ეგ სახელები აღარ გადაუციათ.

ასევე: სოფ. შუაფხოში (ფშავე) იმავე 1886 წელს დაბადებულა 16
ბავშვი და ყველასათვის კალენდრის სახელები დაურქმევიათ (ვასილ,
დავით, პეტრე, გიორგი, ივანე, პავლე, ნიკოლოზ... ნინო, თებრონია,
თამარ, ეკატერინე...); სოფ. გოლოლაში (რაჭა) დაბადებულა 21 ბავშვი
და ყველა კალენდრის სახელებით მოუწიათლავთ (ნესტორ, ნიკოლოზ,
დავით, პეტრე, გიორგი, თედორე, იოსებ, იასონ, ზაქარია... მარიამ,
ბარბალე, ევა, დესპინე, ნატალია, მარინე, ეფროსინე...); სოფ. კიორა-
ში (რაჭა) დაბადებული 36 ბავშვისათვისაც კალენდრის სახელები მი-
უციათ (ივანე, ზაქარია, მალაქია, გრიგოლ, ისაია, პავლე, სტეფანე,
ვასილ, მანუილ, იასონ, პეტრე, მათე, საბა... ანასტასია, სოფიო, მარი-
ამ, ეკატერინე, ალათი, ეფროსინე, მაია, თეკლე, პელაგია...), ხოლო

ძველი ქართული სახელები შერჩენიათ ხანდაზმულ მამებსა და პაპებს (ციცო, ლეკი, პაჩელა, თაკუჩა, თაზელა, დევლეთა, ქექო, ბედა, შასია, ფეცო, კმარიჩა, ბუქუა, ჯაფარა, ქაქუჩა, ფეშტო, შოშია...); სოფ. ერკეთში (გურია) დაბადებული 54 ბავშვი მსგავსი სახელებით მოუნათლავთ (ივლიანე, ივანე, ვლადიმერ, სვიმონ, ნოე, პავლე, ლაერენტი, ერმილე, ნიკოლოზ, ირაკლი, ნესტორ, კირილე, ხარიტონ, მელიტონ, ნიკიფორე, პახუმ, ბენიამენ, სილიბისტრო, იულონ, ალექსანდრე, ლუკა, იაგორ, კარპეზ, იოსებ, კონდრატე, რაფიელ... ოლდა, თეკლე, პელაგია, ანა, მაკრინე, პასიკო, ნინო, ელენე, მარიამ, ალექსანდრა, ფეოდოსი, ივლიტე...).

ასეთივე სურათი ჩანს სევანურსა და მეგრულ სოფლებში. სოფ. ფარში (ზემო სვანეთი), მაგალითად, იმავე 1886 წელს დაბადებულა 17 ბავშვი და ყველასათვის კალენდრის სახელები დაურქმევიათ (დიმიტრი, მიხაილ, მოსე, სოლომონ, დავით, იონა, პეტრე... ეკატერინე, ანასტასია, ზინობია, ნინა, დარია, ელენა...), თუმცა მათ მშობლებს ძველი სახელები ჰქონიათ. მაგალითად, შაულუხ ასანის ძე ვიბლანსა და მის მეუღლეს სირაჯ თეთუ აღმურზას ასულს 1885 წელს დაბადებით ვაჟი და მისთვის დავითი უწოდებით... მსგავსად ამისავე, სოფ. კოკში (სამეგრელო) იმავე 1886 წელს დაბადებული 24 ბავშვი — ყველა კალენდრის სახელებით მოუნათლავთ (კირილე, მაქსიმე, ისიდორე, პავლე, ათანასე, ილია, ლაერენტი, სოლომონ, ისაკი, აქვსენტო, მათე, ამბაკო... მარიამ, ადათი, სოფიო, ქრისტინა, ნატალია...), თუმცა მშობლებს ადგილობრივი სახელები ჰქონიათ. მაგალითად, ალბათირ ჩერეყვას ძე ნარმანასა და მის მეუღლე სალომე გოჩის ასულს იმავე წელს დაბადებით ვაჟი და ათანასე უწოდებით...

ანალოგიურ სურათს ეპოულობთ უფრო ადრინდელი სააღრიცხვო წიგნების მიხედვითაც.

მ. ჭგუფები. ქრონოლოგიურად ქართულ ანთროპონიმიაში გამოიყოფა უძველესი და გვიანდელი ფენა. უძველესია ძირეული ან წარმოქმნილი სახე ანთროპონიმთა, მომდევნო კი კომპოზიტური სახელებია. კინობითი ფორმებიც შედარებით გვიანდელი უნდა იყოს, ვიდრე ჩვეულებრივი წარმოქმნილი საკუთარი სახელები. არსებობს ანთროპონიმთა კლასიფიკაციის სხვა ცდებიც. პოლონელი მეცნიერი ს. როსპონდი, მაგალითად, მორფოლოგიურად გამოყოფს საკუთარ სახელთა პირველადსა და მეორად ჭგუფებს და ორივე მათგანს პოულობს ძველისძველ, ე. წ. „არაკალენდრულ სახელებში“. თითოეული ჭგუფის შიგნითაც, მკვლევრის აზრით, გვაქვს ქვეჯგუფები¹.

¹ С. Роспонд. Структура и классификация древневосточнославянских антропонимов, «Вопросы языкознания», 3, 1965, стр. 13.

ქართული ანთროპონიმების უძველეს ფონდში უნდა გამოიყოს სამი ჯგუფის სახელები: ძირეული, წარმოქმნილი და თხზული. მეორე და მესამე ჯგუფი თავის მხრით რთულია და ქვეჯგუფებადაც ცალკევდება. წარმოდგენილი კლასიფიკაცია ვერ გვაჩვენებს ანთროპონიმთა ქრონოლოგიური ევოლუციის სურათს, მაგრამ ერთი რამ კი იმთავითვე შეიძლება ითქვას: ძირეული სახელები წარმოქმნილ და თხზულ სახელთა არქეტიპები უნდა იყოს.

ძირეული საკუთარი სახელების აბსოლუტურ ბოლოში ხუთივე ხმოვანი გვხვდება:

ა: თაყა, ხეჩა, დოხა, ზაზა, ჯაბა, ვოჩა...

ე: ესე, ენე, ვაჩე, კაბე, კერე, აშე, დორე...

ო: ეგო, ედო, ეკო, ზაზო, ზიკო, ზურო, დურო...

უ: ჯახუ, დუბუ, დუხუ, თაბუ, თათუ, კიზუ, ჯაგუ...

ი: მაქი, მაცი, ვიჩი, კვეტი...

ხმოვანფუძიანი ანთროპონიმი, ჩვეულებრივ, უკვეცელია და იბრუნვის ისევე, როგორც უკვეცელი საზოგადო სახელი.

თანხმოვანფუძიანი ანთროპონიმთა აბსოლუტურ ბოლოში ყოველგვარი თანხმოვანი გვხვდება. რამდენიმე ნიმუში: ავაგ, ავალ, ავლან, ათარ, ალხაზ, ასან, ნინ-ი, ნონ-ი, ნუკრ-ი, ათუშ-ი...

ძირეული ანთროპონიმი ზოგჯერ გადმოცემულია გარკვეული ბრუნვის ფორმით. ამ მხრით ყველაზე პროდუქტიულია ნათესაობითი და წოდებითი.

ნათესაობითი: ო ფ ლ ი ს ა (ქრონიკ., II, 312), ფ ი ლ ი ს ა (დოკ., II, 4), ხ ა ტ ი ს ა (საქ. სიძვ., II, 405), რ ა დ რ ო ს ი (ისტ. დოკ., I, 109), მ თ ვ ა რ ი ს ა, მ ზ ი ს ა (ან: პირმთვარისა, პირიმზისა), ლ ე რ - წ ა მ ი ს ა...

წოდებითი: შ მ ა გ ო, ჩ ი თ ო, ჩ ა ნ თ ო, ც ა ც ო, ძ ი კ ო, ძ ო - ც ო... განსაკუთრებით ხშირია ამისთანა სახელები მთაში (ხევსურეთი, ფშავი, თუშეთი): ჩ ი მ ქ ო, ც ი გ რ ო, ც ი მ ო, ც ი ფ ო, ც უ კ ო, ჭ ა ნ თ ო, ჭ რ ე ლ ო, ხ ა პ რ ო...

წარმოქმნილი საკუთარი სახელი ლექსიკურად ერთ-ერთეულს წარმოადგენს, მაგრამ მისი დეზინტეგრაცია საერთო წესს ექვემდებარება. საწარმოქმნო ელემენტებიდან ყველაზე პროდუქტიულია -ა, -ურ || -ულ, -ულ-ა, -ელ || -ელ-ა, -ია, -უა, -ეი, -იკ-ა, -უკ-ა, -იკ-ო, რომლებიც გვხვდება ანთროპონიმთა როგორც ტრადიციულ, ისე ქრონოლოგიურად გვიანდელ ფონდშიაც.

1. -ა: თანდუ-ა (საქ. სიძვ., II, 430), ლამაზ-ა (იქვე, 381), ლაშქარ-ა (ქართ. ცხ., II, 518), მიდს-ა (ქრონიკ., II, 409), ობოლ-ა (დოკ., II, 181)...

-ა სუფიქსი, ჩვეულებრივ, დაერთვის საზოგადო ან ზედსართავი სახელებს და აწარმოებს ანთროპონიმებს.

ცხოველთა სახელებისაგან: ლომი — ლომა, მგელი — მგელი (—გელა), ფოცხვერი — ფოცხვერა, კურდღელი — კურდღელი, ირემი — ირემა, აფთარი — აფთარა, მეგრ. ჯოლორი (ძალლი) — ჯოლორია, თუნთი (დათვი) — თუნთია, ხოჯი (ხარი) — ხოჯი (ი)ა... ხშირად -ა სუფიქსი გავრცობილია და გვაქვს -იკ-ა: ძალი — ძალიკა, ხარი — ხარიკა, მგელი — მგელიკა...

ფრინველთა სახელებისაგან: მერცხალი — მერცხალა, შავარდენი — შავარდენა, ყორანი — ყორანა, ჩიტი — ჩიტია (II ჩიტა), არწივი — არწივა, მეგრ. ტორონჯი (მტრედი) — ტორონჯია, ღორღონჯი (ბატი) — ღორღონჯია, კვატი/ა (იხვი) — კვატია...

სხვა საზოგადო სახელებისაგან: კაცი — კაცია, ხელი — ხელა, მკერდი — მკერდა, ნადირი — ნადირა, ბროლი — ბროლა, სული — სულა, მეგრ. ბურჭული (ცული) — ბურჭულა, ბუტუტი (ჭინჭლა) — ბუტუტია, ზაკაი (ბზა) — ზაკაია, კინტირი (კიტრი) — კინტირია...

ზედსართავი სახელებისაგან: ანალი — ანალა, თეთრი — თეთრა, ზვიადი — ზვიადა, ფიცხელი — ფიცხელა, ნათელი — ნათელა, ბერი — ბერა, მსუბუქი — მსუბუქა, მაღალი — მაღალა, შავი — შავა (შდრ.: მეგრ. უჩა), მეგრ. კუნტი (მოკლე) — კუნტა...

-ა სუფიქსი ამავე დროს მაკნინებელია და საკუთარ სახელთა მოფერებით-კნინობით ფორმებსაც აწარმოებს: ალუდი — ალუდა, საღირ — საღირა, ბაკურ — ბაკურა, ამირან — ამირანა, არჩილ — არჩილა, ჯავახ — ჯავახა, ქავთარ — ქავთარა, ხახუტი — ხახუტა, ბაქარ — ბაქარა, სამძიმარი — სამძიმარა, დავით — დავითა, ოთარ — ოთარა, გივი — გივია, მიხეილ — მიხეილა (ი-ს ამოღებით: მიხელა || მიქელა)... ან: სანდრო — სანდროია, სიკო — სიკოია, პეტრე — პეტრეია, ესე — ესეია, შუტუ — შუტუია, ბარდღუ — ბარდღუია, ცუცა — ცუცაია, თაყა — თაყაია... ანალოგიურადაა წარმოქმნილი მოფერებით-კნინობითი საკუთარი სახელები მეგრულსა და სვანურშიაც. მეგრული: ოქრია, ტუტუია, ჯვატალა, ქერეჭია, ჯურუშია, ბეჭოია, ფაჩუია, ხუტუნია... სვანური: აბი — აბნლ, ბაბი — ბაბნლ, ბადი — ბადნლ, ბაძი — ბაძნლ, ვიციბი — ვიციბნლ, ბოჯო — ბოჯნლ, დივო — დივნლ¹...

¹ ჩვენი ქართული ლექსიკოლოგია გვ. 124.

2. -ელ || -ელ-ა: ვარძი-ელ-ი (დოკ., I, 61: შდრ.: დიალ. ვ ა რ ძ ე-
ლ ა), თორ-ელ-ი (შდრ.: თორელა), თვარ-ელ-ა, ხათუთ-ელ-ა...

3. -ურ, -ურ-ა || -ულ, -ულ-ა: ვეშავ-ურ-ი, ივან-ურ-ი, ადამ-ურ-ი,
კაპქ-ურ-ა, კაც-ურ-ა, იუნდ-ულ-ა. თად-ულ-ა, ხატ-ულ-ა...

4. -უა: ოქრ-უა, პაპ-უა (საქ. სიძვ., I, 93), ბიძ-უა (დოკ., II, 107),
ჩიტ უა (დოკ., I, 160). კახ-უა, ბერ-უა (საქ. სიძვ., I, 124), ლელ-უა...

5. -ია: თემ-ია (საქ. სიძვ., II, 256), თუხუ-ია, თემყვა-ია, კაკურ-ია,
თიყვა-ია... აქ -ია უფრო მაკნინებელი სუფიქსია (ნ. ზევით).

6. -ვი: თვალთვალ-ვი (საქ. სიძვ., I, 47). პიბილ-ვი (საეკლ. საბ.,
I, 43)...

7. -უყ-ა: ბერ-უყ-ა (საქ. სიძვ., II, 252), მამ-უყ-ა, ლელ-უყ-ა...

8. -იყ-ა: ძაღლ-იყ-ა, მგელ-იყ-ა, ხარ-იყ-ა, ზალ-იყ-ა (←ზაალ-იყ-ა),
ლომ-იყ-ა...

9. -იყ-ო: სულ-იყ-ო, გულ-იყ-ო, ტიტ-იყ-ო, დათ-იყ-ო, ვას-იყ-ო,
ვერ-იყ-ო...

10. ბევრი ანთროპონიმი წარმოქმნილია სიტყვათსაწარმოებელი
ფიქსებით: ნა-ალ: ნა-ბერ-ალ-ი (საქ. სიძვ., II, 308), ნა-ა: ნა-წილ-ა
(საქ. სიძვ., I, 80), ნა-წიფ-ა-ი, სა-ო: სა-ჩინ-ო (საქ. სიძვ., I, 66), ხა-
ბედ-ო, ხა-ე: ხა-ლომ-ე...

-უა, -ია, -ვი, -უყ-ა, -იყ-ა, -იყ-ო სუფიქსებით უპირატესად საკუ-
თარი სახელების მოფერებით-კნინობითი ფორმები იწარმოება.

ზოგჯერ ხმოვნით დაბოლოებული ანთროპონიმე სახელობითის -ი-ს
დაირთავს, რაც მას დამცირების ელფერს აძლევს: მ ა ი ს ა ი (საეკლ.
საბ., I, 30), კ ა ნ დ ა ი (საქ. სიძვ., II, 31), დ უ რ ა ი (ხეცსურ.), ზ ო-
ბ ა ო (თუშ.), ქ ა ს ი ნ ა ი (მოხეც.), ს ა რ დ ი ს ა ი...

ხშირად ანთროპონიმის ძირს ორი მაკნინებელი სუფიქსი ახლავს:
მამ-უყ-ელ-ა (ისტ. დოკ., I, 102), დათ-იყ-ელ-ა, პეტრ-იყ-ელ-ა (*პეტრ-
რეკელა)...

თ ხ ზ უ ლ ი ანთროპონიმი ქრონოლოგიურად გვიანდელი ევოლუციის
პროდუქტია. რთულ ანთროპონიმში მოჩანს სიტყვის შემოქმედი
ადამიანი, რომელიც თავისი გემოვნების მიხედვით თხზავს საკუთარ
სახელს. ამიტომ ამისთანა ანთროპონიმი დღესაც ატარებს მეტსახელის
ნიშანდობლივ თვისებებს.

შვედაროთ ერთმანეთს. ერთი მხრით, გ უ ლ ნ ა ზ ი ს. თ ო ლ ი ს-
ქ ე ა მ ი ს ა და, მეორე მხრით, პ ა ტ ა რ კ ა ც ი ს (ფშავ.: ბატარკაცის),
უ ჩ ა კ ო ჩ ი ს ტიპის ანთროპონიმები. პირველი ადრინდელი ჩანს,
მეორე — გვიანდელი. პირველში შეერთებულია სუბსტანტივი და ადრ-
ექტევი (საზღვრულ-მსაზღვრელი), მეორეში, პირიქით, — ადრექტივი
და სუბსტანტივი (მსაზღვრელ-საზღვრული): ქართ. გული-ნაზი, მეგრ.

თოლი-სქეამი (თვალი-ლამაზი), ქართ. პატარ(ა)-კაც-ი, მეგრ. უჩა-კო-ჩი (შავი-კაცი).

თხზული ანთროპონიმების ცალკე კომპონენტებად გვხვდება როგორც სახელები (არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი, ნაცვალსახელი), ისე ზმნები (სახელი და ზმნა, ან: ზმნა და სახელი).

პირველის ნიმუშებია: მართული მსაზღვრელისა და საზღვრულის შეერთებით მიღებულნი: მა მ-ი ს-თ ვა ლ-ა (დოკ., I, 438), მა მ-ი ს-ი მ ე დ -ი (იქვე, 442), დ ე დ -ი ს-ი მ ე დ-ი (ქართლ. ცხ., II, 486), დ ე დ-ი ს-კ ე თ ი ლ-ი (საეკლ. საბ., I, 14), მა მ-ი ს-ბ ე დ-ი, მ ზ-ი ს-ა დ ა რ-ი, ო ქ რ ო-(ს)-პ ი რ -ი, ქ ა ლ-თ ა-მ ზ ე, ვ ა რ დ-ი(ს)-კ ო ნ ა, ხ ე ვ-ს უ რ უ ლი: ნ ა თ ე ლ -ი ს-ძ ე, ა ბ ა-ი ს-ძ ე, ბ ე რ-ი ს-ძ ე, ნ ა ნ ა-ი ს-ძ ე... საზღვრულისა და მართული მსაზღვრელის შეერთებით მიღებულნი: მ ო ნ ა-ვ ა რ დ-ის ა (საქ. სიძვ., III, 229), პ ი რ-ი-მ ზ-ის ა, პ ი რ-(ი)-მ თ ვ ა რ -ის ა... ატრებუტული მსაზღვრელისა და საზღვრულის შეერთებით მიღებულნი: ო რ-(ი)-ა ვ ე ა ნ და (ათონ., 268), ხ ე ლ-(ი)-ც ა ც ი ა (გ. ბოჭორ., კახ., 164), ქ ე ა-ხ ა რ შ ი ა (იქვე, 157), შ ი ნ-გ ა რ დ ი ლ ა (იქვე, 164), მ ზ ე-ქ ა ლ ა, თ მ ა-გ ი შ ე რ ი, მეგრ. თ უ-თ ა-ც ი რ ა (მთვარე-ქალი)...

მეორის ნიმუშებია: სახელი და ზმნა: ხ-ვ თ ი ს-ა-ვ ა რ, მ ზ ე-ე ა რ (ან: ზ ე-ვ ა რ). მ ე-ვ ა რ-კ ა ც ა, ვ ა რ დ-ფ ი ნ ე, მ ე ც-ვ ი ყ ო... ნა-წ ი ლ ა კ ი და ზმნა: ა რ-გ ე ლ ო დ ი, ა რ-ე ე ლ ო დ ი, მეგრ. მ უ-რ ჩ ა (მ უ—რა, რ ჩა—გაქამო), ან: მ ი ს ო კ ო დ ი (ვის უნდოდი)...

საგულისხმოა. რომ ქართველურ ანთროპონიმიაში მნიშვნელოვან ფენას ქმნის ზმნა. რომლის პირიანი და უპირო ფორმები საკუთარ სახელებად ყოფილა გამოყენებული ძველისძველად. ზმნის პირიანი ფორმები: მა ხ ა რ ე, მა ხ ა რ ა (აქედან მიმღობა: მახარობელ, მახარობელი), მ ე წ ყ ი ნ ა, მ ე გ ო ნ ა, გა მ ი ხ ა რ დ ო¹, მ ი ხ ა რ ო-დ ი, გა მ ა ხ ა რ ე, გა მ ი ც ი ნ ე, გ ი ნ ა ტ რ ე, მ ო გ ე ლ ი, ა ფ ი-ნ ე, მეგრ. მ ო კ ო ნ ა (გვინდა), ქ ო რ დ ი კ ო (ყოფილიყავ), სა წ ყ ი-ს ე ბ ი: ხ ა რ ე ბ ა (ქრონიკ., II, 16), შ ვ ე ნ ა, გა ლ ე ვ ა... მიმღობა-ნი: ს ა ყ ვ ა რ ე ლ ა (ს. კაკ., გლეხ., 30), ძ უ ლ ი ა (გ. ბოჭორ., კახ., 142), მ ხ ი ა რ უ ლ ა...

როგორც ძირეული, ისე წარმოქმნილი ანთროპონიმი ბრუნებადი სიტყვაა და ექვემდებარება ქართული ბრუნების სისტემას.

აღამიანის საკუთარ სახელთა მორფოლოგია რამდენიმედ სხვაედე-ბა საზოგადო სახელებისაგან. მათი ბრუნება ერთი იყო ძველად, მე-

¹ ა. შანიძე. თხზ., I, თბ., 1957, გვ. 276.

ორეა — ამჟამად. ძველ ქართულში ადამიანის საკუთარ სახელს ფორმის ცვლა შეეძლო მხოლოდ ოთხ ბრუნვაში: მიცემითში, ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში; სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში ფორმას არ იცვლიდა, სუფთა ფუძით იყო წარმოდგენილი ისე, როგორც წრფელობითში. ნ. მარს აღნიშნული აქვს, რომ საკუთარ სახელს გაუფორმებელი ფუძე აქვს სახელობითში (ელისაბედ მოვიდა), მოთხრობითსა (მისი ტერმინოლოგიით, II მიცემითი: ელისაბედ ქმნა იგი) და წოდებითში (ელისაბედ!)¹. ამავე დასკვნას გვაძლევს ა. შანიძეც: საკუთარი სახელები „სამ ბრუნვაში არაერთაა ნიშანს არ მიიღებენ. ეს ბრუნვებია: სახელობითი, მოთხრობითი და წოდებითი, რომლებშიც სახელები ფუძის სახით არის წარმოდგენილი“². პარადიგმები ასე გამოიყურება:

ა. ხ მ ო ვ ა ნ ფ უ ძ ი ა ნ ი ს ა კ უ თ ა რ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ე
უ ქ ვ ე ც ე ლ ი ა:³

შიც.	იონა-ს	ლაზარე-ს	გიორგი-ს	შიო-ს	ისუ-ს
ნათ.	იონა-მს	ლაზარე-მს	გიორგი-ს	შიო-მს	ისუ-მს
მოქ.	იონა-მთ	ლაზარე-მთ	გიორგი-თ	შიო-მთ	ისუ-მთ
ვით.	იონა-დ	ლაზარე-დ	გიორგი-დ	შიო-დ	ისუ-დ

ბ. თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ ფ უ ძ ი ა ნ ი ს ა კ უ თ ა რ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი
უ ქ უ მ შ ვ ე ლ ი ა:

შიც.	იაკობ-ს	ვახტანგ-ს	გურანდუხტ-ს
ნათ.	იაკობ-ის	ვახტანგ-ის	გურანდუხტ-ის
მოქმ.	იაკობ-ით	ვახტანგ-ით	გურანდუხტ-ით
ვით.	იაკობ-ად	ვახტანგ-ად	გურანდუხტ-ად

ახალ ქართულში ვითარება რამდენადმე შეიცვალა: ადამიანთა საკუთარ სახელებს გაუჩნდა 6 ბრუნვა. სხვაობა დარჩა მხოლოდ სახელობითსა და წოდებითში. ხმოვანფუძიან საკუთარ სახელებს ამ ბრუნვებში ნიშნები აღარ შემორჩათ, წოდებითში ნიშანი ვერც თანხმოვანფუძიან სახელებს განუვითარდა, ვერც მრავლობითი რიცხვის წარმოების ძალა შეიძინეს. პარადიგმები ასეთია:

¹ Н. Марр. Грамматика древнелитературного грузинского языка, Л., 1925, гл. 29, § 43; гл. 57, § 72.

² ა. შანიძე. ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976, § 52, გვ. 41.

³ ა. იმნაიშვილი. სახელთა ბრუნვა და ბრუნვითა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957, გვ. 366—368.

ა. ხმოვან ფუძიანი საკუთარი სახელები
უკვეცილია, აქვთ ხუთი ბრუნვა:

მოთხ.	გვანცა-მ	ებე-მ	მაცი-მ	გოდო-მ	ბათუ-მ
მიც.	გვანცა-ს	ებე-ს	მაცი-ს	გოდო-ს	ბათუ-ს
ნათ.	გვანცა-ს	ებე-ს	მაცი-ს	გოდო-ს	ბათუ-ს
მოქ.	გვანცა-თ(ი)	ებე-თ(ი)	მაცი-თ(ი)	გოდო-თ(ი)	ბათუ-თ(ი)
ვით.	გვანცა-დ	ებე-დ	მაცი-დ	გოდო-დ	ბათუ-დ

ბ. თანხმოვან ფუძიანი საკუთარი სახელები
უკუმშველია, აქვთ ექვსი ბრუნვა:

სახ.	ვედემონ-ი	ელიგუნ-ი	ჩამათ-ი
მოთხ.	ვედემონ-მა	ელიგუნ-მა	ჩამათ-მა
მიც.	ვედემონ-ს	ელიგუნ-ს	ჩამათ-ს
ნათ.	ვედემონ-ის	ელიგუნ-ის	ჩამათ-ის
მოქ.	ვედემონ-ით	ელიგუნ-ით	ჩამათ-ით
ვით.	ვედემონ-ად	ელიგუნ-ად	ჩამათ-ად

სხვა მხრით ადამიანთა საკუთარი სახელები იმავე მორფოლოგიურ ნორმებს იცავენ, რასაც საზოგადო სახელები, ოღონდ მათ მრავლობითი რიცხვის წარმოება არ შეუძლიათ.

ჰ. ანთროპონიმთა ძირითადი სტრუქტურული მოდელები. ქართველური (ქართული, სვანური, კოლხური) ანთროპონიმია, როგორც ენობრივ ელემენტთა ისტორიულად ჩამოყალიბებული მთლიანობა, სამი შენაკადით იკვებება. ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი მასში უჭირავს უძველეს ფონდს, რომელიც ადგილობრივ ნიადაგს ემყარება, მას მოჰყვება ქართველურ ტომებში დამკვიდრებული ეთნიკური ელემენტები და, ბოლოს, ძველად და გვიან ნასესხები სახელები. სამივე შენაკადის სტრუქტურული მოდელების ამსახველი საკუთარი სახელები, ქართველურ ენებში მეტი და ნაკლები სიხშირით რომ ფუნქციონირებდა და ამჟამადაც ფუნქციონირებს, კარგადაა ცნობილი როგორც ხალხური ტრადიციით, ისე ჩვენამდის მოღწეული V—XVIII სს.-ის წერილობითი წყაროებით: ეპიტაფიებით, საისტორიო და სალიტერატურო ძეგლებით.

წარმართული ანთროპონიმები სხვადასხვა სტრუქტურულ ელფერს გვაჩვენებენ და ყოველთვის ვერ თავსდებათ იმ ბუნებრივ მორფოლოგიურ მოდელებში, რომლებიც ქართველურ სახელთა ფუძეების აგებულების შედარებითი შესწავლის მიხედვითაა დადგენილი. ინოვაციათა თანაფარდობა სისტემის ხასიათისაა. ანთროპონიმთა ძირეულ მორფემებში ვოკალური და კონსონანტურძ სეგმენტები განლა

გებულია, ერთი მხრით, ქართველურ ენათა ლექსიკისათვის დამახასიათებელი ნორმების შესაბამისად, მეორე მხრით, მათგან განსხვავებული სტრუქტურებია შექმნილი. ძირითადი სტრუქტურა ფუძისა აქ CVC მოდელისაა, რომელიც, ჩემი აზრით, ქართველურ ენათა საკუთარი სახელების საერთო არქეტიპი უნდა იყოს, მაგრამ ეს სტრუქტურა შემდეგ გავრცელებულა და მის მსგავს პოზიციებში CVCV, VCVC, VCVV, VCCV, CVCCV ინოვაციები გამოჩენილა. ამჟამად, ცხადია, მეტად ძნელია VCV პოზიციის პირველსაწყისური მოდელის რეკონსტრუქცია საერთო ქართველურ დონეზე, რადგანაც ქართველურ ენათა შესაბამისი მასალა ამის შესაძლებლობას ყოველთვის არ იძლევა, მაგრამ ის მონაცემები, რომლებიც ჩვენთვის ჯერჯერობით ხელმისაწვდომია, საფუძველს გვაძლევს, ვიფიქროთ, რომ VCV სტრუქტურა და მისი ინოვაციები კანონზომიერი პროცესები იყო ქართველურ ენათა განვითარების ჯერ კიდევ იმ საფეხურზე, როცა ე. წ. საერთო ქართველური ენის დიფერენციაცია დაწყებული არ იყო.

სრული ვოკალური სეგმენტები ქართველური ანთროპონიმის ძირეულ მორფემებში ბუნებრივი და ამ ენათა სტრუქტურული ნორმების შესატყვისი უნდა ყოფილიყო, ოღონდ აქ რეგულარული VC პოზიცია ყოფილა, როგორც ამას აბა, აგვი, ება ტიპის ანთროპონიმებზე დაკვირვება გვიჩვენებს. ეს მოვლენა გვიანდელი ჩანს, რასაც ანთროპონიმთა არამართო ადგილობრივი, არამედ ნასესხები ფონდიც ემოწმება (შდრ.: იაკობ, იოსებ, იაკიმი, იულონ...)¹. სრული ვოკალური სეგმენტი აუსლაუტში, CC და CV ინოვაციათა სახით, რეალიზებულია როგორც ძველ წერილობით ძეგლებში, ისე ხალხურ მეტყველებაშიც და საერთო ჩანს სხვა ენობრივი ერთონებისათვისაც (შდრ.: აღუა, აღია, ათუა, ათენა, განი, განო, ქები...). ქართველური ანთროპონიმის უძველესი ფონდის ნიმუშების ანლაუტში რეგულარულია კონსონანტური სეგმენტები (CV, CC) და, ჩვეულებრივ, გაბატონებულ ადგილსაც იჭერს (შდრ.: მაია, ვახა, ზაზა...), მაგრამ ამის თქმა არ შეიძლება აუსლაუტურ პოზიციებზე. აქ ეს სეგმენტები არარეგულარულია. ამასთან უნდა ითქვას, რომ ბევრი კონსონანტური სეგმენტი აუსლაუტსა და ანლაუტში სხვადასხვა წარმოშობისაა, ძირითადად მეორეული მოვლენაა და მას სხვა ასპექტით გათვალისწინება ესაჭიროება. აქ ფონეტიკური გარემოცვის დისტრიბუციაც თავის როლს ას-

¹ ვ. წერეთელი. უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, თბ., 1969, გვ. 225; თ. გაბაყრელიძე, გ. შაქავერიანი. სონანტთა სისტემა და აბლატივი ქართველურ ენებში, თბ., 1965, გვ. 69.

რულებდა. ერთი სიტყვით, სეგმენტთა ოპტიმალური განლაგება ანთროპონიმთა ფორმებში რამდენიმე ფაქტორის გავლენითაა რეგულირებული. ქართულში ამჟამად თითქმის არ მოპოვება იმისთანა ტრადიციული ანთროპონიმები, რომელთა ძირეულ მორფემებში *ლ, ნ, რ* სონანტები დასტურებულია. კონსონანტური სეგმენტებს *ნ* აცვლავ. ეს დაკვირვება კი საშუალებას გვაძლევს ამ შეჩილღულებს პოსტულირებისათვის, რომლის თანახმად ზემოხსენებული სონანტები უფრო ხმოვნებისავენ იხრებან, ვიდრე თანხმოვნებისავენ (შდრ.: *ლ*ლო, *ლ*ეა, *ნ*აღბია, *ნ*ია, *ნ*ოზა, *რ*ესკია, *რ*იღა...). გამოწვევას წარმოადგენს მ სონანტი, რომელიც ერთხარად გვხვდება როგორც ვოკალურ, ისე კონსონანტურ პოზიციას (შდრ.: *მ*ეა, *მ*ღელა, *მ*ოთია... მაგრამ *მ*ველა || *მ*ველა, *მ*ველა, *მ*თვარა, *მ*სიარულა...). ამ გარემოებს მხედველობაში მიღება საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ ძირეული მორფემების პოზიცია და ქართველურ ანთროპონიმთა რეკონსტრუქციის გზები საერთო ქართველურ დონაზე. გიბუნ, გეელ, გიგურ და მისთანა ანთროპონიმების შესლაუტური *ნ, ლ, რ* სონანტები უფრო მარცვლიანობისავენ იხრება, ვიდრე თანხმოვნებისავენ. ეს მოსახრება საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს, მაგრამ ჩვენი მასალა ჯერ კიდევ არაა საკმარისი იმისათვის, რომ პრობლემა საბოლოოდ გადაწყვეტილად მივიჩნიოთ.

უკვე გამოვლენილი და შემოწმებული მასალა შესაძლებლობას გვაძლევს ქართველურ ანთროპონიმთა გამოვყოთ ძირითადი სინქრონიული სტრუქტურები და მოდულები მათი პირველად და წარმოქმნილი ვარიანტებშითურთ. ესენია:

1. VCV: აბა, ალა, ალო, აკა, აკო, ათო, ევო, ეკო. ება, იკუ, ისო, ულა, უთი, უჩი...
2. VCVC: აბალ, აბალ, აბეე, ავაგ, აფაქ, ასამ, ემერ, ისამ, ოზამ, უზამ...
3. VVCV: აინა, აოკა, აისე, იაბე, იასე, ოანა, ოინე...
4. CVV: ბიუ, ბუა, გო, გუა, დო, დუო, თეუ, წია, სია...
5. CVC: ბად-ი, ბექ-ი, გაზ-ი, გეზ-ი, გოჯ-ი, გულ-ი, ღინ-ი, დეე-ი, ზაზ-ი, თაბ-ი, თაკ-ი, ქავ-ი, ჭიგ-ი...
6. CVCV: ბაკო, ვაგა, ვახა, გილა, დახა, ღიდა, ფორე, კეო...
7. CVCVV: ბანია, ბალია, გეგა, გუგუა, დუკა, თაბია, თათია...

1 თ. გამყარელიძე, გ. მაქავარიანი. დასახ. ნაშრ., გვ. 73—74
 2 დაწვრილებით: А. А. Глonti. Об основных структурных моделях картельских антропонимов, «Ономастика Кавказа», Орджоникидзе, 1980, гв. 27—31.

ამ პოზიციაში აბლაუტური სეგმენტები დერივატული და დამცირების (ან კნინობის) მაწარმოებელია¹.

8. CVCCV: ბერდო, გულდა, ბონდო, დარდო, თამთა, მაგრო... ამ პოზიციებში რდ, ლდ, ნდ, მთ, გრ სეგმენტები შეკუმშული სახითაა შემორჩენილი (მოსალოდნელი იყო: * ბერადო, * გულადა, * ბონოდო, * მაგარო...).

9. VCVCVC: აბულეთ, აგურამ, ადამედ, ადომელ, ისატონ... შედგენილი სტრუქტურებია, რომლებშიაც გვაქვს VCV+VCV ვარიანტები (ადო+მელ, ისა+ტონ). აბულეთ ანთროპონიმში შერწყმულია აბულ- და -ეთ სეგმენტები. ძირეული აბულ- მორფემა შემონახულია გვარსახელებში: აბულ-ა-ძე, აბულ-ა-შვილ-ი. აბულ მიღებულია აბუ- || აბო-ს გავრცობით. ღ სონანტი აბულ ფუძეში უფრო ხმოვნისაქენ იხრება და იმავე რიგში დგას, რა რიგსაც აბალ, ასამ, ეთამ, ესამ. ძირეულ მორფემებში აუსლაუტური ლ, მ სონანტები, შეიძლება ვიფიქროთ, მარცვლებს ქმნიდნენ.

10. VCVCV: აბიბო, ადიგო, ადილა. ადოლა, ედილა, ენალა, ირე-მა, ოდელა, ობოლა, ოსიტა, უბილა... სტრუქტურა გვიანდელი უნდა იყოს. აუსლაუტური ო და ა ამ ერთეულებში მორფოლოგიური და დერივატიული წარმოშობისაა.

11. CVCCVV: ვარდია, ლომნია, მალდია, მახნია, მერდია, მინდია... ეს სტრუქტურები რთული შედგენილობისაა. კონსონანტური სეგმენტები იწყება ან თავდება სონანტებით (რდ, მნ, ლდ, ნდ...), რომლებიც შეკუმშული სახითაა წარმოდგენილი (მოსალოდნელი იყო: * ვარადია, * ლომანია, * მალადია...).

12. VVC: ქართველურ ენებში საერთოდ გავრცელებული პოზიცია ანთროპონიმიაში იშვიათად გვხვდება. დადასტურებულია მხოლოდ რამდენიმე ნიმუში (აინ, აეს, იად, იონ...). რომლებიც საკმარისი არაა ცალკე პოზიციურ მოდელად გამოყოფისათვის.

13. CVVCVCV: კიკოლა, მამულა, მამუნა, მითარა, ბეკინა... აუსლაუტური ა ელემენტი ამ პოზიციებში კნინობით-მოფერებითობის მაწარმოებელია².

14. CVCV მიღებულია CVC სტრუქტურის რედუბლიკაციით, რაც ქართველურ ენებში პროდუქტული პროცესია (ა: ზაზა, თათა, კაკა... ე: გეგე, ჰჰე, ფეფე... ი: ბიბი, გიგი, კიკი... ო: დოდო, ზოზო, სოსო... ფ: გუგუ, ბუბუ, კუკუ...). მონაცვლეობა ა—ე ელემენტებისა რეგულარულია აბელატივთა და ანთროპონიმთა ფუძეებში: ბადე, დათე...

¹ ალ. ლ. ო. ნ. ტ. ი. კნინობით-მოფერებითობის ელემენტება ქართველურ ანთროპონიმში, „აღმოსავლური ფილოლოგია“, V, თბ., 1983, გვ. 12—17.

² ალ. ლ. ო. ნ. ტ. ი. დასახ. ნაშრ., გვ. 12—17.

CV პოზიცია სწორად ენაცვლება VC-ს როგორც აპელატივთა, ისე ანთროპონიმთა ფუძეებში. ამისთანა ფუძეების რედუქციაციის ხმაბადვით წარმომავლობა ახლა საეჭვო აღარ უნდა იყოს.

ნ. აპელატივთა ანთროპონიმიზაცია¹. პირის აღნიშვნა, ანთროპონიმიზაცია, სახელის მეორადი ნიშანია, რომელიც პირველადი ნაშნის, აპელატივის საფუძველზეა მიღებული. ანთროპონიმიზაციის საკლასიფიკაციო ნიშანთვისება აქამომდის არაა გამოკვლეულ-დადგენილი და ამის შესახებ მეცნიერებაში ერთიანი შეხედულება არცაა შემუშავებული. ჯერხნობით უდავოდ მიიჩნევა მხოლოდ ის თეზისი, რომლის თანახმად ანთროპონიმთა წყარო აპელატივთა კლასია, მაგრამ ანთროპონიმთა თანრიგში გადადის არა ყველა აპელატივი, არამედ ამ დამატებითი ფუნქციით იტვირთება აპელატივთა კლასის ერთგვარად რეგლამენტირებული რკალი. ხელ, მაგალითად, აღმოჩნდა იმისთანა მოქნილი აპელატივი, რომელმაც ადვილად შეითვისა საკუთარი სახელის ფუნქცია და გადავიდა ანთროპონიმთა თანრიგში, ხოლო ფეხ ლექსემაშ ეს შესაძლებლობა ვერ გამოამყვანა. ხელ ტიპის აპელატივებს ეკისრებათ დამატებითი ფუნქცია, ფეხ ტიპის აპელატივებს კი სხვა მოვალეობის შესრულება ეკრძალებათ. აქ რაღაც კანონზომიერება უნდა დავინახოთ (თავისუფლება და აკრძალვა), რაც, სავარაუდოა, ენაში იმთავითვე მოქმედებდა. აღსანიშნავი ისიცაა, რომ ხელ ტიპის აპელატივები თავისთავად კი არ გადადიან ანთროპონიმთა თანრიგში, არამედ ამ მიზნით ისინი უპირატესად იყენებენ სპეციფიკური დანიშნულების ენობრივ ელემენტებს, რომლებიც აპელატივთა მხოლოდ გარკვეული რიგის სტრუქტურულ მოდელებს ეხამებიან და ახალ სემანტიკურ მთლიანობას ქმნიან. ჯერჯერობით ძნელი ხდება ამ რკალების არეალური შემოზღუდვა, მაგრამ მათი ენობრივი რეალიზაცია საშუალებას გვაძლევს, რამდენადმე მაინც განვსაზღვროთ ეს ფარგლები. ამასთან, ჩანს, ცალკე ენობრივ რეგიონში იგარძნობა ხსენებული რკალებისა და ელემენტების იერსახეთა არა სწორბაზობრივი იგივეობა, არამედ, რაც მთავარია, მნიშვნელოვანი რყევა, აგრეთვე კანონზომიერ მოვლენად რომ უნდა მივიჩნათ. ქართულში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ენობრივი ელემენტი, რომლის შეერთება აპელატივის ფუძესთან უკანასკნელის სემანტიკურ მოდიფიკაციასა და ანთროპონიმთა კლასში გადაადგილებას იწვევს, არის კნინობით-მოფერებითობის მაჩვენებელი აფიქსი, და საგულისხმოა იმის ხაზგასმაც, რომ ამ აფიქსის ვარიანტები ქართველურ ენებში დაცულია როგორც

¹ ალ. ლლონტი. კნინობით-მოფერებითობის ელემენტები ქართველურ ან-თროპონიმში, „აღმოსავლური ფილოლოგია“, V, თბ., 1983, გვ. 12—17.

ქართულ-კოლხური, ისე ქართულ-სევანურისა და კოლხურ-სევანური დონეების მოსაყვამთა მისედევით.

სანიმუშოდ განვიხილოთ CVC და C₁CV სტრუქტურების უძველეს ანთროპონიმთა ფუძეები. ისინი ჩვეულებრივად არიან რეალიზებული ქართველურ ენებში და მათ შორის კნისობით-მოფერებითობის აფიქსთა სმარებულობაშიც სიახლოვე ჩანს, თუმცა სხვა სტრუქტურებიც არა ნაკლები სახშირით დასტურდება. ჩემი ვარაუდით, კნისობით-მოფერებითობის ელემენტები შეიძლება გამოდგეს პირის საკუთარ სახელთა ერთ-ერთ საკლასიფიკაციო ნიშნად.

საალერსო-შაკნისეგნელი აფიქსების სმარებულობა ქართველურ ენებში განისილება სიტყვათწარმოების დონეზე, მაგრამ აქედან ცალკე არაა გამოყოფილი პირთა საკუთარი სახელები. ჩვენთვის კი ამგვარად სიტყვათწარმოების დონე იმდენადაა საინტერესო, რამდენადაც აქ შეგვაძლია თვალი ძველდენსთ აპელაცივთა გადაადგილების პროცესს ანთროპონიმთა თანრიგში. უწინარეს ყოვლისა, უნდა გამოიყოს -ა ელემენტი, რომელიც როგორც ცალკე, ისე -ჟა, -უნ, -ილ, -ელ სუფიქსებთან ერთად, უძველესი დროიდან მოყოლებული, დაკრულია ქართულ ანთროპონიმთაში.

-ა საკუთრივ საალერსო ფორმებს აწარმოებს და ამასთან ერთად მაკნინებელიცაა. კაც ლექსმა -ა-ს დანატებით სემანტიკურად პატარა კაცსაც ნიშნავს და დაძვირების იერსახესაც გვაჩვენებს. ასეთივეა ქალ-ა ('პატარა ქალი'), ვაჟ-ა, ბერ-ა, ბაჩ-ა, კაბ-ა, ძაძ-ა, ქუც-ა, ჯორ-ა... ა. შანიძე ამბობს: „კნისობითის ა გვაქვს აღამიანთა საკუთარ სახელებში: ბეჟას-ა, დავით-ა, სიმონ-ა, ლუარსაბ-ა, დარეჯან-ა, საბედ-ა (ელისაბედ-ა), იმედ-ა და მისთ. იგივე ა არის ასეთ სახელებში: პეტრი-ა, პავლი-ა, გიგუ-ა, ვასუ-ა, ნინუ-ა, თიკუ-ა და სხვ. (მოსალოდნელი იყო: პეტრე-ა, პაულე-ა, გიგო-ა, ვასო-ა, ნინო-ა, თიკო-ა)“¹. -ა ელემენტი ნასესხებ ლექსემებსაც გადაიყვანს ხოლმე ანთროპონიმთა თანრიგში, რაც სწორად აქვს შესიშნული მ. ჩიქიასაც: თურქ. ალთუნ (altın 'ოქრო') -- ალთუნ-ა (შემონახულია გვარში: ალთუნ-ა-შვილი), თურქ. საღირ (sağır 'ყრუ') -- საღირ-ა (შემონახულია გვარში: საღირ-ა-შვილი)².

-ჟა მაკნინებელი ელემენტი ორ ვარიანტადაა რეალიზებული: ა) დამოუკიდებლად: ცუბ-ჟა-ი, ჯატ-ჟა-ი... ბ) -ა-ს დართვით: დედ-ჟა-ა ('პატარა დედა'), ქალ-ჟა-ა ('პატარა ქალი'), ხან-ჟა-ა ('მცირე ხანი'),

¹ ა. შანიძე. ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1, თბ., 1972, გვ. 120.

² მ. ჩიქია. თურქული წარმოშობის ანთროპონიმები ქართულში, „საქართველოში ფილოლოგია“, 111, თბ., 1973, გვ. 216.

წარ-ჟ-ა... სემანტიკა ცუბ-, წარ-, ჯატ- ფუძეებისა გაუხსნელია, დედ-, ქალ-, ხან- ჩვეულებრივი აპელატივებია, რომელთა მნიშვნელობა საყოველთაოდ ცნობილია. მათი გადასვლა ანთროპონიმთა თანრიგში -ჟ-ა ელემენტის დართვამ გამოიწვია. -ჟ-ა სახელს კნინობითობის ელფერს აძლევს საერთოდ, მაგრამ ასე წარმოქმნილ სახელთა ფონდიდან მხოლოდ ერთი წყებაა დატვირთული ანთროპონიმის ფუნქციით. -ჟ-ა ერთნაირად დაერთვის დედ-, ქალ- და ცხენ-, სახლ- ფუძეებს, მაგრამ პირველი წყვილიდან ანთროპონიმებს აწარმოებს (შდრ.: დედ-ჟ-ა, ქალ-ჟ-ა), მეორე წყვილიდან კი კნინობით-მოფერებით სახელებს (შდრ.: ცხენ-ჟ-ა 'პატარა ცხენი'; სახლ-ჟ-ა 'პატარა სახლი').

ფუნქციურად -ჟ-ა ელემენტის ტოლფარდია -უნ-ა, რომელიც უპირატესად ერთ ვარიანტადაა რეალიზებული: ბაბ-უნ-ა, დედ-უნ-ა, ციცი-უნ-ა, ფაჩ-უნ-ა, თაქ-უნ-ა და მისთ. ბაბ-, დედ-, ციცი-, ფაჩ-, თაქ-ა. შ. რომ ანთროპონიმთა ფუძეებია, ჩანს გვარსახელებიდანაც (შდრ.: ბაბ-უნ-ა-შვილი, დედ-უნ-ა-შვილი, ფაჩ-უნ-ა-შვილი, თაქ-უნ-ა-შვილი...), მაგრამ მათი სეიანტიკა უცნობია, თუმცა აპელატივთა როლს რომ ასრულებენ, ეს უდავოა.

ასევე უპირატესად ერთ ვარიანტად გვხვდება -ი-ა-ც, რომელიც, -ჟ-ა-სა და -უნ-ა-ს მსგავსად, პროდუქტიულია როგორც სალიტერატურო ენაში, ისე კილო-თქმებშიც. ჩვეულებრივ ის მაკნინებელია, ხოლო სახელს მოფერებით-საალერსო იერს -ო-ს დამატებით აძლევს: ბაბ-ი-ა, დედ-ი-ა, დოდ-ი-ა, მამ-ი-ა, ხარ-ი-ა, ხუს-ი-ა, ჯან-ი-ა... ან: სად-ი-ო, თალ-ი-ო, გულ-ი-ო, სულ-ი-ო, ფეფ-ი-ო, ქიქ-ი-ო (მეგრ. ქიქე 'პატარა')... -ი-ა ვარიანტი ჩანს -ჟ-ისა ამისთანა შემთხვევებში: ქალ-ი-ა || ქალ-ჟ-ა, დედ-ი-ა || დედ-ჟ-ა, ძამ-ი-ა || ძამ-ჟ-ა... (შდრ.: ქალ-ი-ა-შვილი || ქალ-ჟ-ა-შვილი, ძამ-ი-ა-შვილი || ძამ-ჟ-ა-შვილი და მისთ. გვარსახელები).

საალერსო-მოფერებით სახელთა საწარმოებლად ქართულში ასევე პროდუქტიულია -ილ-ა, -ელ-ა, -ულ-ა ელემენტები. ა) -ილ-ა: დედ-ილ-ა, კიკ-ილ-ა, ქიქ-ილ-ა, ხუხ-ილ-ა... (შდრ.: კიკ-ილ-ა-შვილი, ხუხ-ილ-ა-შვილი და მისთ. გვარსახელები); ბ) -ელ-ა: ძამ-ელ-ა, კეკ-ელ-ა, ფეფ-ელ-ა, კეკ-ელ-ა... (შდრ.: ძამ-ელ-ა-შვილი, ფეფ-ელ-ა-შვილი, კეკ-ელ-ა-შვილი...); -ელ-ა დამცირებითს სახელსაც აწარმოებს: კაც-ი-ა — კაცი-ი-ელ-ა, გოგ-ი-ა — გოგი-ი-ელ-ა და ა. შ. არაიშვიათია ორმაგი -ი-ა-ელ-ა სუფიქსის ხმარებაც, რაც უფრო კილო-თქმებში დასტურდება: პეტრ-ი-ა-ელ-ა (უნდა ყოფილიყო: პეტრ-ი-ა-ელ-ა), დათ-ი-ა-ელ-ა (უნდა ყოფილიყო: დათ-ი-ა-ელ-ა, შდრ. გვარსახელი: დათ-ი-ა-შვილი), შალ-ი-ა-ელ-ა (უნდა ყოფილიყო: შალ-ი-ა-ელ-ა, შდრ. გვარსახელი: შალ-ი-ა-შვილი), მას-ი-ა-ელ-ა, მარ-ი-ა-ელ-ა და

მისთ. ა. შანიძეს შენიშნული აქვს -უნ-ა-სა და -უჟ-ა-ს პარალელურად ხმარების შემთხვევები ანთროპონიმებში: გლახ-უნ-ა || გლახ-უჟ-ა და ა. შ.:¹ გ) -ულ-ა: ძან-ულ-ა. ხუტ-ულ-ა, ჭუბ-ულ-ა... ხუტ-ულ-ა მოფერებითი სახელია: 'პატარა ხუტა'.

ამრიგად, ქართულ საკუთარ სახელთა დიდი ფონდი კინობით-მოფერებითის ელემენტებითაა წარმოდგენილი აპელატივთა კლასის ლექსებითა ფუძეებიდან. აქ ძირითად ადგილს CVC (ბეჟ-, ბეტ-, ჭედ-), CVCV (ხუხუ, ცაცო, ჭუბო) სტრუქტურები იკერენ. არაიშვიათია სხვა მოდლებიც VCV (აბა, ეხო), VCVV (ოღია, ოჩია) და ა. შ. ლექსიკონში (იხ. აქვე) შეტანილი მასალა გვაფიქრებინებს, რომ პირველადი უნდა იყოს CVC, CVCV ტიპის სახელები, რომელთა ფუძეებში სავარაუდოა ხუთივე ვოკალი (ა, ე, ი, ო, უ) და ნებისმიერი კონონანტი.

კოლხური არსებითად იმეორებს ქართულის ნორმებს: მის ორსავე დიალექტში — ლაზურშიცა და მეგრულშიც, -ა(||-უა) ელემენტი ანთროპონიმებს აწარმოებს აპელატივთა ფუძეებიდან და მათ კინობით-მოფერებითობის იერსახესაც უნარჩუნებს.

ა) ლაზურში პირის საკუთარი სახელის მოფერებითი ფორმა გადმოიცემა აპელატივის დეზინტეგრაციით, რაც უპირატესად ნასესხებ საკუთარ სახელებში დასტურდება. ი ბ რ ა ჰ ი მ ი -ის დეზინტეგრაციით გვაქვს ი ბ ა (უნდა გვეწონოდა ი ბ რ ა), სადაც აუსლაუტური -ა მაკინინებელი სუფიქსია (ქართ. -ა-ს ფარდი. შდრ.: ქალ-ა). ჰ ა ს ა ნ სახელ-მოუცია ქ ა ც ა (უნდა გვეწონოდა ჰ ა ს ა ა), მ უ ს ტ ა ფ ა-ს — ტ ა ფ ა (უნდა გვეწონოდა ს ტ ა ფ ა)² და ა. შ.

ბ) -ა ელემენტს მეგრულშიაც იგივე ფუნქცია აქვს. პირის საკუთარი სახელის კინობით-მოფერებითობის ფორმები აქაც აპელატივის დეზინტეგრაციით წარმოებს. ი ლ ა რ ი ო ნ -ის დეზინტეგრაციის შედეგად გვაქვს ი ლ ა, თ ა მ ა რ -იდან — თ ა მ უ ნ -ა, კ ა ჰ უ ნ ი -იდან — კ ა ჰ უ ნ -ა³ და ა. შ. -ა ელემენტი ფუძის აუსლაუტში ქმნის ი + ა კომბინაციას (მაგ., ბაკაჩ-ი-ა, ბატე-ი-ა, ბატუ-ი-ა, კოჩო-ი-ა, პიხუ-ი-ა...), ხოლო თანხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეთა ძირითად ფონდში კი უცვლელადაა დაცული (მაგ., ბაჯ-ა, ბეთ-ა, ბაჯგ-ა, გვამ-ა, ციბ-ა, ცუჟ-ა და მისთ.).

კინობით-მოფერებითობის -ა ელემენტი საერთოა ქართულისა და კოლხურისათვის, მაგრამ სვანური აქედან განცალკევებით დგას, სვა-

¹ ა. შანიძე. დასახ. ხაზრ., გვ. 121—123.
² Н. Марр. Грамматика чанского (лазского) языка. СПб., § 115, гл. 72.
³ И. Килшидзе. Грамматика мингрельского (иверского) языка. СПб., 1914, § 126, гл. 125.

ნური იცავს კონოტატივის ფუძიდან დენოტატივის განვითარების საერთო ტიპოლოგიურ მდგომარეობას, ხოლო ენობრივი რეალიზაცია ამისა სხვადასხვაა. ქართულ-კოლხური -ა ელემენტის ეკვივალენტად სვანურში -აღ, -აღლ, -აღლ, -აღლ, -აღლ ელემენტები გვევლინება¹. ა) -აღ: ბიტ-აღლ, დოდ-აღლ, მემ-აღლ... ბ) -აღლ: ბიდ-აღლ, დეკ-აღლ, ფეკ-აღლ... გ) -აღლ: ბიტ-აღლ, გუჯ-აღლ, მად-აღლ... დ) -აღლ: ბიბ-აღლ, ბიჩ-აღლ, ტუფ-აღლ... ე) -აღლ: ბით-აღლ, კუკ-აღლ, მეს-აღლ...

სახელთა კონოტაცია და აქედან დენოტატივის გამოყოფა უნივერსალური გავრცელების პროცესი ყოფილა. ლექსემათა სიგნიფიკაცია და ინტენციონაცია თავისთავად მოწმობს კონოტატივის ინვარიანტულ სისტემას. აპელატივის გარკვეულ ძირეულ მორფემას ენა კონოტატივად იყენებს და -ა ელემენტის (ვარიანტებითა და ეკვივალენტებით) მოშველიებით დენოტატივს ქმნის: ფოთოლ — ფოთოლ-ა, ბერ — ბერ-ა, თავ — თავ-ა, ცივ — ცივ-ა. ამეამად ფოთოლ-, ბერ-, თავ-, ცივ- დენოტატივები ენაში თითქოს აღარაა შემონახული, მაგრამ დაცულია გვარსახელებში: ფოთოლ-ა-ძე, ბერ-ა-ძე, თავ-ა-ძე, ცივ-ა-ძე, როგორც უდავო მოწმე გარდასულ დროთა ენობრივი ნორმისა. ამ ენობრივი პროცესის რეალიზაციის არეალურად ლოკალიზება გაუმართლებელია, რადგანაც მაკინებელ-სამოფერებო აფიქსებით პირის საკუთარ სახელთა წარმოება საერთო კანონზომიერებაა. ეს პროცესი, რასაც მრავალი ენა იცნობს, ე. კურილოვიჩმა საკუთარი სახელების მორფოლოგიურ თავისებურებად, მათ სპეციფიკად მიიჩნია². მე კი მას ვთვლი კონოტატივის კლასიდან სახელის დენოტატივის (ანთროპონიმთა) თანრიგში გადასვლის ერთ-ერთ ძირითად წესად, რასაც ონომასტიკური კანონის ძალა აქვს.

კონოტატივთა ის წრე, საიდანაც სათავეს იღებს პირის საკუთარი სახელი, შეზღუდულად გამოიყურება, მაგრამ ამთავითვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ აქ სუბსტანტიურ ერთეულებთან ერთად მრავლად გვაქვს ზმნებიც, სახელზმნებიც, ზოგჯერ ზმნიზედებიცა და სხვა არათვისთავადი სიტყვებიც. ამის პოტენციური შესაძლებლობა მეტნაკლებად ყველა მეტყველების ნაწილშია ჩამარხული. ა. ვ. სუპერანსკაია ხსენებული წრიდან ერთეულთა გამოყოფას სახელის დასარქმევ ობიექტთა ხასიათს უკავშირებს³, რასაც ანტროპონიმთა მეტად გან-

¹ აღ. ონიანის ცნობით, სვანურის კილო-თემებში ისმის აგრეთვე ამათი ვარიანტები: -აღლ(ღ)//-აღლ, -აღლ(ღ)//-აღლ, -აღლ(ღ)//-აღლ, -აღლ(ღ)//-აღლ, -აღლ(ღ)//-აღლ, -აღლ(ღ)//-აღლ.

² Е. Курялович. Очерки по лингвистике, М., 1963, გვ. 260.

³ А. В. Суперанская. Общая теория имени собственного, М., 1973, გვ. 108.

საზღვრული ფონდი ემოწმება, მაგრამ ისტორიულად დენოტატივთა კლასი მოტივირებული ლექსემებით უფრო მდიდარი უნდა ყოფილიყო, ვიდრე დღესაა. იგი მუდამ აპელატურთა სხვადასხვა სემანტიკური რკალის ერთობლიობას გულსხმობდა. ახსნა-ეტიმოლოგიას ამჟამად დენოტატივთა ძირეული მორფემების მხოლოდ მცირე ნაწილი ექვემდებარება. მათი მთავარი ფონდები, მათ შორის ადგილობრივია და ნასესხებიც, მოტივირების დონეზე აუხსნელი რჩება. ასე თუ ისე, ჩვენთვის ნათელია ქართველურ ენებში რეალიზებული ხატ-, სულ-, გულ- და მისთ. ტიპის ერთეულთა სემანტიკა (შდრ.: ხატ-ი-ა, გულ-ი-ო, სულ-ა), მაგრამ ეტიმოლოგიას არ ექვემდებარება აგრეთვე ანავე ენებში რეალიზებული კაკ- (||-ქაქ), ხოტ-, დათ-(დათ-ა, დათ-უნ-ა), თაკ-(თაკ-ო), უტუ-, ბათ-(ბათ-ა, ბათ-ო, ბათ-უ)¹, რუს (რუს-ა)² და მისთ. ტიპის ანთროპონიმები. ბევრი მათგანი, ცხადია, შეთვისებული ჩანს სხვა ენებიდან, რაც კიდევ უფრო ართულებს ამისთანა სახელების სემანტიკურ ანალიზს.

საზოგადო სახელის გადასვლა საკუთარ სახელთა თანრიგში, რამდენადაც გაირკვა, ისეთივე ბუნებრივია, როგორიც შებრუნებული პროცესი, საკუთარი სახელის გადასვლა საზოგადო სახელთა თანრიგში. ამიტომ ზუსტი საზღვრის დაწესება საზოგადო სახელსა და საკუთარ სახელს შორის ძნელია, მათ შორის სხვაობა, ო. იესპერსენის სიტყვებით რომ ვთქვათ, რაცხობრივი ხასიათისაა და არა თვისობრივისა³. ლ. ა. ბულახოვსკი მეტყავს ამბობს: „საზოგადო და საკუთარ არსებით სახელთა გამყოფი ზღვარი, რა თქმა უნდა, არაა აბსოლუტური. საკუთარ სახელთა უმრავლესობა წარმოიქმნა საზოგადო სიტყვათაგან, რომელნიც წინათ რაიმე ნიშან-თვისებაზე (შინაარსზე) მიუთითებდნენ“; „საზოგადო სიტყვათა, უმთავრესად არსებით სახელთა, მნიშვნელოვანი ნაწილიც თავისი წარმოშობით საკუთარი სახელებია, რომლებიც შემოვიდნენ გადატანითს ხმარებაში ან უცვლელად, ან გადაქმევის პროცესის ამსახველ ფორმალურ ნიშნებთან შეერთებით. შემდეგ მათი გადატანითობა დავიწყებულ იქნა და ისინი იქცნენ პირდაპირი მნიშვნელობის მქონე სიტყვებად⁴. ამის მაგალითებს ყველა ენაში ვპოულობთ.

¹ გ. ე. ო. რ. დ. ა. ნ. ი. ა. ვეხურელნი, თბ., 1956, გვ. 125—179. შდრ.: ილ. დ. ლ. ო. ნ. ტ. ო. ქართველური საკუთარი სახელები, თბ., 1967, გვ. 19—21; აქვე, გვ. 31—32.

² ი. ც. ნ. ც. ა. ძ. ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X—XV სს.), თბ., 1956, გვ. 47.

³ О. Есперсен. Философия грамматики, М., 1958, гв. 77.

⁴ ლ. ა. ბულახოვსკი. ენათმეცნიერების შესავალი, 11, თბ., 1955, გვ. 115.

მ. ნახესხები ანთროპონიმები. ქართველ ტომებს საკუთარ სახელთა თავიანთი სულტმს შეუქმნიათ ჯერ კიდევ ადრე, მატრიარქატიდან პატრიარქატზე გადასვლის ეპოქაში. ყოველ შემთხვევაში, ახლა დადასტურებულად უნდა ჩაათვალოს ის ფაქტი, რომ თავიდანვე ქართველ ტომებს კარგად ჩამოყალიბებული თვითყოფი ონომასტიკონი ჰქონიათ. ამას მოწმობს წარმართულ ღვთაებათა საკუთარი სახელები, რომელთა ერთი ნაწილი (ადილა, დალი, აშექალი, სამქიმარა და მისთ.) შემდეგ ადამიანის სახელებს შეუსისხლნორცდა. მომდევნო ეპოქებში თავისთავად საკუთარ სახელებს ნახესხებიც შემოპრევია. ქართველურ ანთროპონიმიაში გარკვეულ ადგილს სწორედ ეს მასალაც იკერს. პირველ რიგში აქ აღსანიშნავია კალენდრის სახელები, რომლებიც დიდი პოპულარობით სარგებლობენ ქრისტიან ხალხებში საერთოდ და მათ შორის ქართველებშიაც (გიორგი, დავით. მათე, ლუკა, იოანე, მარკოზ, ანანია, ამბაკო, მართა და მის.).

უცხოური წარმოშობის ანთროპონიმები ქართველ ტომებს შეუთვისებიათ ჰურიტულ, სპარსულ¹, ბერძნულ, არაბულ, თურქულ, რუსულ და სხვ. ენათა მეშვეობით. ბერძნულიდან ნახესხებია თვით ბერძნული და ძველებრაული სახელები, რომელთა დიდი ნაწილის წყარო ძველი და ახალი აღთქმის წიგნებია (ალექსანდრე, ანდრია, დავით, იაკობ, იოანე, ლუკა, ილია, იოსებ, მოსე, ზაქარია, მათე, ბართლომე, ანა, მარიაშ, ელენე). სპარსულ-არაბული ენობრივი სამყაროდანაა შემოსული: როსტომ, გივი, ნახტანგ, თეიმურაზ, ლეილა და მისთ. ევროპული ენებიდან: ტრისტან, კარლო, პიერ, ჰამლეტ, ტიციან, ბენიტო, იზოლდა, მათილდა, ანეტა, ვიქტორია... რუსულიდან: ვლადიმერ, ვლადისლავ, ვერა, ნადეჟდა, ლუბა... ძველ ქართულ წყაროებში დამოწმებულია რამდენიმე სომხური განზოგანების სახელი (არშაკ, არტავაზ, აკოფ, თრდატი...), ხოლო სჯანური და მეგრულა ტრადიცია იცნობს სხვა ენობრივი ერთობის ანთროპონიმებსაც (მათიჟე, მამსირყვა, მგრზაბეგ, მძიფხან, მისრახან. თემყვა...).

ზოგიერთი უცხოური საკუთარი სახელი დროთა ვითარებაში შეკვლებია ქართულს და ისე შეუცვლია თავდაპირველი მოდელი, რომ ახლა კაცს გაუჭირდება მისი არაქართულად მიჩნევა (დათო, თედო,

¹ სპარსული წარმოშობის პირთა სახელები საგანებოდ შეისწავლა მ. ანდრონიკაშვილმა (ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი კავშირებიდან, თბ., 1966, გვ. 417—517). მკვლევარს ძიება უძველეს ინტერესს თქვეს თავისი შედეგებით და მოწონებას იმსახურებს. ამასთან შეიძლება მსალოდ აღნიშნოს: წარმოდგენილ მასალას მიხედვით ვაჭირდება ზოგიერთი სახელის (მაგ., არჩილ, ბაქურ, ვანე) სრულად მიჩნევა.

² ჩვენი: ქართული ლექსიკოლოგია, თბ., 1964, 120—122.

ვანო, სიკო, კოტე, კოწო, რაფო, ლადო, გო). ნასესხებ ანთროპონ-მათა ბევრი ნიმუში შესწავლილი აქვთ ნ. მარს, ივ. ჭავჭავაძის, კ. კეკელიძის, იუსტ. აბულაძის, ე. თაყაიშვილის, ა. შანიძის, ს. ყაუხჩიშვილის, ს. კაკაბაძის, გ. მელიქიშვილის, გ. ჟორდანიას, ი. ცინცაძის, მზ. ანდრონიკაშვილის, ზ. კუმბურიძის.

ს. ყაუხჩიშვილმა სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა ბერძნულ მამაკაცთა სახელების გადმოცემას ქართულში¹.

უცხოური წარმოშობის ზოგიერთი ანთროპონიმის წარმომავლობასა და სტრუქტურაზე საგულისხმო შეხედულებები აქვთ გამოთქმული ჩვენს ისტორიკოსებს გ. მელიქიშვილს, გ. ჟორდანიასა და ი. ცინცაძეს. გ. მელიქიშვილი უპირატესად ირკვევდა ურარტულ-ჰურიტულ საკუთარ სახელებს და მათს კავშირს ქართველურ ონომასტიკონთან². გ. ჟორდანიას დაკვირვებანი ეძღვნება საკუთრივ ჰურიტულ ანთროპონიმთა სტრუქტურას უკანასკნელად გამოვლენილი მასალების მიხედვით. მკვლევრის ვარაუდით, რაც ეყრდნობა ი. გელების, პ. პურვესის³, ფ. სტეფენის⁴, გ. ლაფანციანის⁵ და გ. მელიქიშვილის⁶ ცნობილ ნაშრომებს, ჰურიტულიდან უნდა მომდინარეობდეს ქართველურ ენებში დამკვიდრებული ისეთი ანთროპონიმები, როგორიც არის: აგი, აგია, ბათუ, ბუდუ, კაკი, კაკა, გიგა, გიგი, გიგო, კანკა, კიკა, კიკი, კიკო, კიკოლა, კაკო, კაკული, კალე, ქაქუ, კუკუ, გუგუ, ზაზა, ჭაჭუ, თედო, დადა, დათა, დათუნა, თადო, თადუნა, დუტუ, შაქრია, შუქრია, ხუტუ, ხუტა. კუტუ. ქუტუ, უტა, უტუ, პაპა, ხუხუ, ხუხა, ნანა, ნანი. ნინო, ნინია, თამარ, თაკო, ქუთათი, ფაცია და ზოგიერთი სხვა⁷. აქ დამოწმებულ ყველა სახელზე ამ ვარაუდის დაბეჭივებით გავრცელება, ცხადია, სწორი არ იქნებოდა, მაგრამ სახელთა მსგავსება (ზოგისა უფრო შემთხვევითი) რომ უეჭველად დამაფიქრებელია, ეს იმთავითვე ცხადია. მეტიც უნდა ვთქვათ: ფრიად რთული და თითქმის შეუსწავლელი საკითხი გ. ჟორდანიას ნაშრომში პირველად პოულობს მეცნი-

¹ ს. ყაუხჩიშვილი. ბერძნულ მამაკაცთა სახელების გადმოცემისათვის ქართულში, "არილი", თბ., 1925, გვ. 89—105.

² Г. Меликишвили. Урартские клинообразные надписи, ВДИ, № 4, 1953; მისივე: Некоторые вопросы социально-экономической истории Наиря-Урарту, ВДИ, № 4, 1951; ურარტუ, თბ., 1951; Наиря-Урарту, Тб., 1954; აგრეთვე: К истории древней Грузии, Тб., 1959.

³ I. J. Gelb, P. M. Purves and A. A. Mac Rae, Nuzi Personal Names, Chicago, 1943; I. J. Gelb, Hurrians and Subarians, Chicago, 1944.

⁴ F. J. Stephens. Personal names from cuneiform inscriptions of Cappadocia. New Haven, 1928.

⁵ Г. Капанцян. Хайаса—колыбель армян, Ереван, 1947.

⁶ გ. მელიქიშვილი. დასახ. ნაშრომები.

⁷ გ. ჟორდანიას. მეხურელნი, თბ., 1956, გვ. 125—179.

ერულ გაშუქებას. ი. ცინცაძემ გამოავლინა რამდენიმე **„ივერელი“** თარი სახელი, რომელთა შორის პირველ რიგში უნდა დავასახლო რ უ ს-ი. ამასთან დაკავშირებით მკვლევარს გახსნილი აქვს XI საუკუნის ხელნაწერში ჩართულ დოკუმენტში მოხსენებული რ უ ს ყ თ ი ს (იოანე რუსყოფილი) სემანტიკა: „იოანე რუსყოფილი ისე უნდა გავიგოთ, რომ იოანეს ერისკაცობის დროს „რუსი“ ერქვა სახელად, ბერად აღკვეცის შემდეგ კი იოანე დაურქმევიათო... „რუსი“ როგორც საკუთარი სახელი, არსებობდა ძველ საქართველოში¹. ამის საბუთებად დასახელებულია იერუსალიმის ქართველთა ჯვარის მონასტრის აღაპებში მოხსენიებული რუსი ჩხეტიძე (XVI ს.), „ახალი ქართლის ცხოვრებაში“ დამოწმებული ბაგრატ მეფის მასლობელი რუსი ეგნატაშვილი და დღეს არსებული გვარები „რუსაძე“ და „რუსიშვილი“². რუსი რომ ნამდვილად ძველი ანთროპონიმია, ეს უდავოდ უნდა მივიჩნიოთ, მაგრამ, ჩვენი აზრით, წარმომავლობით ის ზინც უნდა უკავშირდებოდეს ამ სიტყვით ცნობილ ეთნონიმს.

მრავალი ძველი ანთროპონიმი, ადგილობრივიცა და ნახესხებიც, დროთა განმავლობაში დავიწყებას მისცემია და უკვალოდ დაკარგულა. ზოგის კვალი კი წყაროებთან ერთად შემორჩენილია გვაროვნულ სახელებში და იქიდან შეიძლება მათი აღდგენა³.

ქართველურ ანთროპონიმიაში მნიშვნელოვან ადგილს იჭერს ბიბლიური წარმომავლობის სახელები, რომლებიც ჩვენში ორი არხით გავრცელებულა. ერთი არხია ზეპირი ტრადიცია, მეორე — შვიგნობ-

¹ ი. ცინცაძე. ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X—XVI სს.), თბ., 1956, გვ. 47.

² ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღაპებით, თბ., 1931, გვ. 227; აღანი ჯვარის მონასტრისანი, ქართული დედანი 16 პალეოგრაფიული სურათითურთ გამოსცა ნ. შარაშანი, ПИР., 1914, გვ. 30; ე. შეტრეველი. მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბ., 1962, გვ. 90; ბერძენ ეგნატაშვილი. ახალ ქართლის ცხოვრება, თბ., 1940, გვ. 13; ი. ცინცაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 47.

³ გვაროვნულ სახელთა წარმომავლობისა და სემანტიკის საკითხებზე იხ. ი. შაიხრაძე. წარმოქმნის ზოგიერთი ბოლოსართისათვის ქართულ სახელ-გვარებში, შ. რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედინსტიტუტის სამეცნიერო სესია, თეზისები, ბათუმი, 1953; ნარკვევები ონომასტიკონიდან, ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო პედინსტიტუტის სამეცნიერო სესია, თეზისები, თელავი, 1956; გეოგრაფიულ სახელთა ფუძეები თანამედროვე ქართულ გვარებში, საქ. სსრ უმაღლესი სასწავლებლების ქართული ენის კათედრათა 1 (V) საწევრო კონფერენცია, თეზისები, თბ., 1962; ქართულ გვარ-სახელთა სემანტიკული კლასიფიკაციისათვის, ა. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედინსტიტუტის სამეცნიერო სესია, თეზისები, თბ., 1965; „ბერ“ ძირი ქართულ სახელ-გვარებში, „მაცნე“, № 1, 1965, გვ. 237—243.

რობა: მწიგნობრობის საშუალებით ბიბლიური სახელები უწინარეს ყოვლისა დამკვიდრებულა ძველი და ახალი აღთქმის წიგნთა თარგმანებით, რომლებიც საქართველოში ჯერ კიდევ IV—V საუკუნეებში არსებულა. კ. კეკელიძემ გვაჩვენა, რომ IV—V სს.-ის პავლეს ეპისტოლეთა ქართული თარგმანები საერთო ხმარებაში ყოფილა, ხოლო შემდეგ ბიბლიის სხვა წიგნებაც გარდმოუენებიათ¹. ბერძნული და ბერძნული ენის მეშვეობით შემოსული ძველებრაული, ლათინური და სხვ. სახელები ამ თარგმანების, კერძოდ, კალენდრის საშუალებით გავრცელებულა. იმის გამო, რომ ძველი და ახალი აღთქმის წიგნები სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა სამწერლობო ცენტრებში ითარგმნებოდა, ბიბლიურ სახელთა ორთოგრაფია ერთობ ჭრელი სახითაა ჩვენამდის მოღწეული, რასაც მკვლევარები ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავდნენ. ამ სახელთა დიდი უმეტესობა ბერძნული გახმოვნებისაა, ზოგიერთს კი სომხურ-სირიული დაბოლოება ახლავს. უცხოურ სახელთა ორთოგრაფიის სიჭრელე ამასთან ერთად ბიბლიის წიგნთა თარგმანების სხვადასხვა რედაქციებმა და ზეპირტრადიციამ, ტომთა მიგრაციამ, კონტაქტებმა, კულტურულ-ეკონომიკურმა ურთიერთობამ განაპირობა². უცხოური ელემენტი ქართველურ ანთროპონიმიაში ჯერ კიდევ მანამდის დამკვიდრებულა, სანამ ქრისტიანული მწიგნობრობა გაჩნდებოდა. ამიტომ წარმართული ონომასტიკონი ერთსახოვანი და ერთი მოდელისა არ ყოფილა. ახლა ძნელია იმ ნომენკლატურის სისტემებზე დახასიათება და თავდაპირველი ქართული ონომასტიკონიდან უცხოური ფენების გამოყოფა, მაგრამ ის რომ ნარევი იყო და მასში უცხოურ ელემენტს გარკვეული ადგილი ეჭირა, ეს თავისთავად ნათელია. ცნობილია, რომ ბიბლიური წიგნების წარმომავლობასა და გარდმოენების შესახებ უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურა შეიქმნა. ცალკე წიგნთა თარგმანის გამო მეტად საინტერესო შეხედულებები აქვთ გამოთქმული მ. ბროსეს, თ. ბაგრატიონს, ა. ცაგარელს, დ. ბაქრაძეს, ნ. მარს, ა. ხანაშვილს, კ. კეკელიძეს, ა. შანიძეს, პ. ინგოროყვას, ს. ყაუხჩიშვილს,

¹ კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 412—415; კ. დანელიძე. ქართული სამწერლო ენის ისტორიის საკითხები, თბ., 1923, გვ. 71.

² ჩვენ, განსაკუთრებით ფილოლოგოსებსა და ენათმეცნიერებს, დიდ დახმარებას გვიწევს ბიბლიურ წიგნთა მცხეთური ხელნაწერის გამოცემა, რომელიც ელ. დოჩანაშვილის ხელმძღვანელობით, გამოკვლევითა და სიძიებლებით განწორციელდა (რედ. ზ. სარჯველაძე). გამოცემას ერთვის ბიბლიის წიგნთა ონომასტიკონის სრული საძიებელი, რომლის მეცნიერული და პრაქტიკული ღირებულება განუზომელია (იხ. ტ. I, თბ., 1981, გვ. 522—543; ტ. II, თბ., 1982, გვ. 428—469; ტ. III, 1983, გვ. 319—324).

იუსტ. აბულაძეს, ილ. აბულაძეს, ელ. მეტრეველს, კ. დანელიას, უ. ცინდელიანს, ელ. დოჩანაშვილს, ც. ქურციკიძეს, მზ. შანიძეს, ფ. კონიძერს, რ. ბლეიკს, ი. მოლითორს, ლ. ლელუარს, ს. ლონეტსა და სხვ. აღძრულ პრობლემას განსაკუთრებით საყურადღებო გამოკვლევები უ. ცინდელიანმა¹, კ. დანელიამ², ელ. დოჩანაშვილმა³, მზ. შანიძემ⁴ მიუძღვნეს. ამ ავტორებმა გამოავლინეს და შეისწავლეს სრულიად ახალი ფაქტები. უ. ცინდელიანი თვლის, რომ ბიბლიის მეფეთა I და II წიგნის თარგმანი ბერძნულიდან უნდა იყოს შესრულებული. ასევე კ. დანელია ფიქრობს: „საკუთარი სახელების ფმეტესობა ძველ ქართულ რედაქციებში ფორმით უფრო ბერძნულ წყაროზეა დამოკიდებული, ვიდრე სომხურ-სირიულისაზე. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ზოგი საკუთარი სახელის ფორმა ქართულში სირიულ-სომხურ ტექსტობრივ ტრადიციასთანაც ავლენს კავშირს“⁵. დასკვნა მკვლევარს გაკეთებული აქვს პავლეს ეპისტოლეთა ქართული რედაქციის ჩვენების შესაბამისად. პავლეს ეპისტოლენი კი უშუალოდ ბერძნულიდან გარდმოიწერილი ჩანს: „პავლეს ეპისტოლეთა ძველი ქართული რედაქციის წყარო ბერძნული ორიგინალი უნდა ყოფილიყო“⁶. ს. ყაუხჩიშვილს დადასტურებული აქვს, რომ საკუთრივ ბერძნული მამაკაცთა სახელები ქართულში ორი სახითაა გადმოცემული: ერთისათვის ფუძელ ბერძნული ნომინატივის ფორმაა მიღებული: ანთიმოს (—ანთიმოზ), აპოლონარიოს, კლემენტოს, კორნელიუს, ნიკო-

¹ უ. ცინდელიანი. მეფეთა პირველი ორი წიგნის ძველი ქართული რედაქციის მიმართებისათვის ბერძნულთან. „მაცნე“, № 2, 1967, გვ. 228—261; ფურცლები: „მრავალთავი“, I, 1971, გვ. 46—65; IV, 1975; VII, 1980, გვ. 77—79; „მაცნე“, № 4, 1975, გვ. 62—78.

² კ. დანელია. რამდენიმე საკითხი ბიბლიის უძველესი ქართული თარგმანის ისტორიიდან, თეშ., ტ. 183, 1978; მისივე: იერემიას წინასწარმეტყველების ძველი ქართული ევრსიები და მათი მომდინარეობის საკითხი, თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 9, 1964; ქართული სამწერლო ენის ისტორიის საკითხები, თბ., 1983.

³ ელ. დოჩანაშვილი. აღიშნის ოთხთავის წარმომავლობის საკითხისათვის, „მასალები“, ნაკვ. 29, თბ., 1955; მისივე: პირთა, გეოგრაფიული და ეთნიკური სახელები ოთხთავის ქართულ თარგმანებში, „მაცნე“, № 3, 1968; ქართული ბიბლიის „ისო ნავეს წიგნის“ ბერძნობები, „მაცნე“, № 4, 1974; „მცხეთური ბიბლიის“ დაბადების წიგნის ბერძნობები, „მაცნე“, № 2, 1978; მცხეთური ხელნაწერი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ელ. დოჩანაშვილმა, I, 1981, გვ. 3—47; II, 1982, გვ. 3—32; III, 1983, გვ. 3—33.

⁴ მზ. შანიძე. ფსალმუნთა წიგნის ძველი ქართული თარგმანები, თბ., 1979.

⁵ კ. დანელია. ქართული სამწერლო ენის ისტორიის საკითხები, თბ., 1983, გვ. 161.

⁶ კ. დანელია. იქვე, გვ. 184.

დიმოს... მეორისათვის უარყოფილია ნომინატივის ფორმა და ფუძედ გვაქვს, ჩვეულებრივ: ანტონინე, გერასიმე, სტეფანე, ტიტე, აპოლონარი, ვიორგი, კორნელი, ანდრია, თომა, ლუკა...! პროდუქტიული აღმოჩნდა ბერძნ. ვოკატივის ფორმები. ს. ყაუხჩიშვილმა ნათელყო: „1. ბერძნული (და აგრეთვე ბერძნულის გზით რომაული) მამაკაცთა სახელები ქართულში გადმოცემულია ორნაირად: სრული ბერძნული ნომინატივის ფორმით და შეკვეცილად: 2. შეკვეცილი ფორმების ორი დიდი ჯგუფი -ენიანი (ბერძნული -იონ) და -ინიანი (ბერძნული -იონ) წარმოშობილია ბერძნული ვოკატივის ნიადაგზე. ამნაირი ფორმები შეიძლება შეთვისებული იყო ქართულში თავდაპირველად მხოლოდ ზეპირად, ბერძნებთან პირადი ურთიერთობის დროს, და შემდეგ ტრადიციად დამკვიდრებულყოფს ის მწერლობაშიც; 3. შეკვეცილი ფორმების დანარჩენი ჯგუფები შეიძლება შეთვისებული იყოს როგორც მწიგნობრულად, ისე ზეპირად: მეტად გავრცელებული -იონიანი (ხალხურად -ინიანი) სახელების გადმოცემა იმის საშუალებით ქმნიდა აღმქმელისათვის საფუძველს იმისათვის, რომ საკუთარი სახელის ფორმა ბერძნული ნომინატიური -იონიანი მოცილებით ეწარმოებინა საზოგადოდ, და არა მარტო -ინიანიში, მით უმეტეს იმ შემთხვევაში, როდესაც უნ იგმო ფორმა ამავე დროს ვოკატივს წარმოადგენდა“².

ახალი აღთქმის წიგნების საკუთარი სახელების მართლწერა ქართულ თარგმანში რამდენიმე მკვლევარს აქვს შესწავლილი. ი. მოლიტორმა ამ პრობლემას ორტომიანი ნაშრომი მიუძღვნა და გარდმოენებული ფორმები ორიგინალს შეაწამა³. ადრე ი. იმნაიშვილმა შეადგინა სიმფონია ქართული ოთხთავის საკუთარი სახელებისა სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით⁴. ორივე ავტორის წყარო ერთია, ზოგი სახელის ორთოგრაფიაში სხვაობაა.

საკუთარი სახელები ნასესხებია არა მარტო ბერძნულ-ლათინური წყაროებიდან, არამედ დიდძალი ანთროპონიმი ქართულში შემოსულია სპარსულიდან, არაბულიდან, თურქულიდან — ზეპირი და მწიგნობრული გზით. ამ სახელებმა ქართველ ტომებში გზა გაიკვლიეს როგორც გარდმოენებული, ისე ორიგინალური ლიტერატურული ძეგლების მეშვეობით („ეისრაიმიანი“, „ამირან-დარეჯანიანი“, „რუსუდანი-

¹ ს. ყაუხჩიშვილი. ბერძნული მამაკაცთა სახელების გადმოცემისათვის ქართულში, კრებ.: „არილი“, თბ., 1925, გვ. 89.

² ს. ყაუხჩიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 105.

³ Y. Molitor, Glossarium Ibericum, 2, Jouvain, 1962, 423—452.

⁴ ი. იმნაიშვილი. ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, თბ., 1948—1949, გვ. 799—827.

ანი“, „დილარიანი“ და ა. შ.). აღმოსავლურ საკუთარ სახელთა ხმარი-
ბულება და გადმოცემა ქართულში შესწავლილი აქეთ ნ. მარა, იუსტ.
აბულაძეს, დ. კობიძეს, მ. თოდუას, ს. ჭიქიას, ალ. გვახარაიას, მ. ჭიქი-
ას, ვ. გაბაშვილს. ნ. მარის სპეციალური დაკვარებებიანი „ვისრამიანის“,
„ამირან-დარეჯანიანის“, „რუსუდანიანის“, „დილარიანის“ საკუთარ
სახელებზე, მეცნიერის ახალგაზრდობის წლებში რომაა ჩატარებულნი,
სამწუხაროდ, გამოუცემელი დარჩა“¹.

ნასესხები ანთროპონიმების დაწერილობასა და წარმოქმნაში დი-
დი მერყეობა იგრძნობა. ხალხურ ტრადიციას თავი რომ დაეანებოთ,
წყაროებშიაც არ არის ერთგვარობა. ერთსა და იმავე ძეგლებშიაც
სიკრელეა. აღიშის ოთხთავში, კერძოდ (X ს.), ერთი მხრით, იკითხე-
ბა იოვანე (მათე 4, 12, 21; მარკოზ 1, 6; ლუკა 8, 51 და ა. შ.),
მეორე მხრით, იოვანე (მათე, 3, 4; 11, 4; მარკოზ 1, 19; ლუკა 1, 61
და ა. შ.). სხვა წყაროებში დამოწმებულია: იოვანე („სინური მრავალ-
თავი 864 წლისა“, 75, 18), იოანე („ქართლის ცხოვრება“, 1, 312, 16;
334, 10..), ივანე (იქვე, 269, 9; 272, 9..). ხალხური ტრადიციით
გვაქვს ევანე (ე. ნინოშვილი, თხზ., I, 1932, გვ. 167). X—XI სს.
ძეგლებში (ოთხთავის ორი რედაქცია) გვაქვს ანდრია-ც და ან-
დრე-ც (მათე, 10, 2; მარკოზ 1, 16; ლუკა 6, 14; იოვანე 12, 22...).
ა. შანიძეს აღნიშნული აქვს, რომ ასეთივე „დიდი მერყეობაა საკუთარ
სახელების ფორმათა წერაში“ „სინურ მრავალთავშიაც“. ერთი
მხრით, გვაქვს ნ ა ბ უ თ მ ს ი, მეორე მხრით — ნ ა ბ ო თ ე, ასევე:
ი ე ს მ ს ს ა — ი მ ს მ ს, ი ა ზ ი ბ ე ლ ი ს ა — ი ე ზ ა ბ ე ლ, პ ა ტ
რ ო კ ლ ო ს — პ ა ტ რ ო კ ლ ე, დ ა ვ ი თ — დ ა ვ ი დ და ა. შ.²

ლექსიკონში დაცულია ეს მერყეობა.

დასასრულ, კიდევ ერთი შენიშვნა. ქართველ ტომებს, როგორც
ითქვამს, ანთროპონიმებად გამოუყენებით წარმართულ ღვთაებათა
უძველესი სახელები, თანაც არა მარტო ადგილობრივი, ნასესხებიც.
ასე ჩანს მიღებული, მაგალითად, ქალთა ადგილობრივი სახელები:
დალი — სევანური ნადირობის ღვთაება, სამძიმარა — ღვთაება
მთაში და მისთ., მამაკაცთა სპარსულიდან ნასესხები სახელი არმა-
ზი და ა. შ. ჯერ ნ. მარმა და შემდეგ ა. სევანიძემ გამოიკვლიეს, რომ
უძველეს ქართულ ხალხურ სიმღერებში დამოწმებული სახელები
(ალაღე, ვარადო, რაშა, ორირაშა, ნანა, დელია, ლაღე...) წარმოშო-

¹ Архив Н. Я. М а р а. А 2916. 63—76; А 1306. 1305, 2636. В. А. М я х а н -
к о в а. Николай Яковлевич Марр. М.-Л., 1949, 25.

² სინური მრავალთავი 864 წლისა, ა. შანიძის რედ., თბ., 1959, რედაქტორის
გამოკლევა, გვ. 306; შდრ.: ი. ი მ ნ ა ი შ ვ ე ლ ი. ქართული ოთხთავის სიმფონია
ლექსიკონი, თბ., 1948—1949, გვ. 799—827.

ბით წარმართულ ღვთაებათა სახელები, ან ეპითეტები უნდა იყოს. ა. სვანიძე, კერძოდ, ამბობს: „სახელები, როგორცაა: ნანა, ნანაია, რანუნი, რანინა, ნანინა, ანინა და შემდგომ: დილა, დელია, დელა; ლალე, ლილე, არალე, ალალე, ალათა, ბალათა, ირირია, ია, უა, ეა, ვარადო — უცილობლად წარმოადგენენ ღმერთების საკუთარ სახელებს, ანდა, ყოველ შემთხვევაში, უძველესი წარმოშობის საკუთარ სახელებს“¹, რომელთა შორის, როგორც მკვლევარი ვარაუდობს, ხეთური წარმოშობის ღვთაებათა სახელებიც გვხვდება (მაგ., ალალე)².

7. ნასესხებ ანთროპონიმთა დეზინტეგრაცია. ნასესხებ საკუთარ სახელთა დეზინტეგრაცია ქართველურ ენებში პრაქტიკულმა საჭიროებამ განაპირობა. ამ ენებს არ უყვართ რთული საკუთარი სახელები და მათ იმთავითვე თავიანთ მოდელს უქვემდებარებენ. ამიტომ დიდი ნაწილი ქართველურ ანთროპონიმთა ერთ-ან ორმარცვლიან ფუძეს წარმოადგენს და ადვილად წარმოსათქმელია. მართალია, გვხვდება მრავალმარცვლიანი და თხზული ანთროპონიმებიც, მაგრამ მათი რაოდენობა შედარებით მცირეა. ნასესხებ ანთროპონიმთა დეზინტეგრაცია თავდაპირველად ზეპირრთიერთობაში დაიწყო და თანდათანობით მწერლობაშიაც იკიდებს ფეხს (შდრ., გერა — ლ. ქიაჩელის „გვადი ბიგვაში“, ბ ე ს ა — ა. მირცხულაეას „ენგურში“ და ა. შ.).

სამმარცვლიანი სიტყვა გ ი ო რ გ ი გ ი ო-ღ გამოითქმის, ვ ი ქ-ტ ო რ ი ა — ვ ი ქ ა-ღ ისმის, ვ ლ ა დ ი მ ე რ — ლ ა დ ო-ღ და ა. შ. ეს პროცესი უფრო ძლიერი მეგრულშია, სადაც მრავალმარცვლიანი უცხოური საკუთარი სახელი, ჩვეულებრივ, შემოკლებულად გამოითქმის: აბესალომ — ა ბ ე, აპოლონ — ა პ ო, ბიკენტი — ბ ი კ ი, იბოლიტე — ი ბ ო, ნაპოლეონ — ნ ა პ ო, ეპიფანე — ე პ ი, ღომენტი — დ ო მ ე, მანასე — მ ა ნ ა, კიმოთე — კ ი მ ო, იუსტინე — ი უ, საჩინო — ს ა ჩ ი, გალაქტიონ — გ ა ლ ა, დარისპან — დ ა რ ი, პანტელეიმონ — პ ა ნ ტ ე, ლაზარე — ლ ა ზ ა, ტროფიმე — ტ რ ო ფ ი, ვდიშერ — ე დ ი, გაბრიელ — გ ა ბ ი, ლევარსი — ლ ე ვ ა, გერასიმე — გ ე რ ა, ბესარიონ — ბ ე ს ა, ყარამან — ყ ა რ ა, ერმილე — ე რ ი, ივანე — ი ვ ა... ალათი — ა ლ ა, ეპრაქსია — ე პ რ ა, ბაბილინა — ბ ა ბ ი, დესპინე — დ ე ს ი, ვასასი — ვ ა ს ა, მინადორა — მ ი ნ ა, ქრისტინე — ქ რ ის ტ ი, ფეოდოსია — ფ ე ო... ზოგი საკუთარი სახელის ფუძე მეგრულში შეკუმშულია (ამოღებულია ი): ზ ო ს მ ე — ზოსიმე, კ ი რ-ლ ე — კირილე, მ ე ლ ტ ო ნ — მელიტონ, პ ა ს კ ო — პასიკო, ფ ი ლ-

¹ ა. სვანიძე. შესავალი აღაროდელ ტომთა ისტორიისა. „თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები“, III, 1936, გვ. 303.

² იქვე, გვ. 304.

მონ — ფილიმონ, სილბისტრო — სილობისტრო, ზოგ ამ, ომ, ონ, არ, ორ მარცვლებზე დაბოლოებულ სახელს მოკვეცილი აქვს ბოლო თასხმოვანი (მ. ნ, რ): როსტო — როსტომ, პახუ — პახუმ, სოფრო — სოფრომ, ანტო — ანტონ, პლატო — პლატონ, რაედე — რაედეს, პიმე — პიმენ, ბეგლა — ბეგლარ!...

ნასესხებ ანთროპონიმთა დეზინტეგრაციას, როგორც ვიცით, მეტნაკლებად იცნობენ სხვა ენებიც. კერძოდ, ამ პროცესის ინტენსივობას ინდოევროპულ ენებში (ინგლისურში, ფრანგულში, გერმანულში) უკანასკნელ ხანებში ყურადღება მიაქციეს პოლონელმა მეცნიერებმა ე. კურილოვიჩმა და ს. როსპონდმა¹.

8. მეტსახელი. ქართულ ტომებში ძველთაგანვე გავრცელებული ყოფილა ადამიანისათვის მეტსახელის შერქმევა, რაც დღესაც არ მისცემია დავაწყებას. მეტსახელის შერქმევისას, უწინარეს ყოვლისა, მიზანში იღებდნენ ადამიანის პირად თვისებებს, მისწრაფებებს, მოსაქმეობას, ფიზიკურ გარეგნობას. ამიტომ აქ გონებამახეილობასა და შემოქმედებას უსაზღვრო ასპარეზი ჰქონდა². მეტსახელს მთის კილოებში თიკუნს, ფსედონისს ეძახიან და იგი აქ მამაკაცსა და დედაკაცს ერთნაირად ჰქონდა. მამაკაცის თიკუნია ფშავში: ქვინდლახი, კრიტა, კუპაკე, ვირულლა... დედაკაცისა — დევექაჯი, ალიკუდა, სალესველა³... ხევსურეთში მამაკაცის თიკუნია: გოძლა, არბატა, კინკრახა, წრუტა⁴... თუშეთში: ყარტულა, ჯანდაგი, შებუ, ტოპრა⁵...

მეტსახელი, ანუ თიკუნი, საქართველოს თითქმის ყველა კუთხეშია ცნობილი. ზოგჯერ ადამიანს მეტსახელით უფრო იცნობენ, ვიდრე ნამდვილი სახელით.

თიკუნის შესწავლას მნიშვნელობა იპითაც აქვს, რომ ანთროპონიმთა მთავარი ნაწილი სწორედ მათგან მომდინარეობს. მეტსახელთა საფუძველზე საკუთარ სახელთა სისტემის შექმნა-განვითარება საყო-

¹ ჩენი: ქართული ლექსიკოლოგია, თბ., 1964, გვ. 126.

² J. Kurylowicz. La position linguistique du nom propre, „Onomastica“, II, 1, 1956; С. Роспнд. Структура и классификация восточнославянских антропонимов, «Вопросы языкознания», 3, 1965, გვ. 20.

³ ბევრ მწერალს აღსაბაჲ მეტსახელია შერქმევის ჩვეულებები. დავიმოწმებთ მხოლოდ „რუსულდანიანის“ ერთ ცნობას ყბედ ქალთა მეტსახელებზე: „ესოდენ განმრავლებულა მათის ყბედობის ანბავი, რომე უსენის ცოლს იტიინეს უხმობდენ და ომარის ცოლს — ოლაპარაკესა“ („რუსულდანიანი“, ილ. აბულოძისა და ივ. ვიგინეიშვილის რედ., თბ., 1957, გვ. 588).

⁴ ს. მაკალათია. ფშავი, თბ., 1930, გვ. 149.

⁵ ს. მაკალათია. ხევსურეთი, თბ., 1935, გვ. 155.

⁶ ს. მაკალათია. თუშეთი, თბ., 1933, გვ. 164.

ველთაო მოვლენაა. ეს პროცესი დასტურდება არა მარტო ქართულსა და მის მონათესავე ენებზე მოლაპარაკე ტომებში, არამედ ამავე ნი-
დადაგზე უნდა იყოს აღმოცენებული ბევრი სხვა ხალხის ანთროპონი-
მიაც¹.

ქართული ხალხური ზღაპრების პერსონაჟთა სამყაროზე დაკვირვე-
ბა ცხადყოფს, თუ თიკუნიდან როგორ განვითარებულა საკუთარი სა-
ხელი. მეტსახელებია: ცერა, ხუთუნიჭულა, ჭინჭრასა, სიზმარა, ცერო-
დენა, ირმისა, ნაცარქექია, მუჭანახევარა, ლომკაცა, ქაჩალა, ასფურ-
ცელა, ნასყიდი, წყალიყლაპია, ცაქვრეტია, გორიგლეჯია, ბელტიყლაპია,
ჩიტკალია და მისთ., რომელთაც იცნობს ქართული ზღაპრების ან-
თროპონიმი². ზოგი მათგანი ამჟამად საკუთარ სახელადაცაა ცნობი-
ლი (ირმისა, სიზმარა, ნასყიდა და სხვ.).

ასევე თავდაპირველად თიკუნი უნდა ყოფილიყო შემდგომ საკუ-
თარ სახელებად მიჩნეული: ძაღლიკა, ვეფხვია, ლომა, ლომიკა, მგე-
ლიკა, აფთარა, ფოცხვერა, ირემა, კურდღელა, მერცხალა, ყორანა,
შევიარდენა, ზვიადა, მზექალა, ქალთამზე, პირიმზე, მაყვალა, ფიქრია,
ცისია, შუქია... სვანური: გვიდა, იალღუზ, მახუგეგ, მარმატა, ხალინა...
მეგრული: თუნთია, ღეჯიკოჩი, ტორონჯია, კინტირია, ბუზკოჩი, სქვამ-
ცირა, ვაკო... ხოლო არმინდა, მონაეარდისა, ვისელი, გინატრე, მეწყი-
ნა, მეწია, გამისარდი, მეტეარ (მეგრ. მეტი არა), მოკონა (მეგრ. გვინ-
და). მისოკოდი (მეგრ. ვის უნდოდი), ქორდიკო (მეგრ. ყოფილიყავ)
და მისთ., რომლებიც ახლა საკუთარ სახელებადაა გამოყენებული,
ჭეჭ კადევ უფრო მეტსახელთა იერს ატარებენ.

მეტსახელები უდევს საფუძვლად ძველი და ახალი აღთქმის წიგ-
ნების ონომასტიკონის მთავარ ნაწილსაც. ბერძნულ-ლათინური ენობ-
რივი სამყაროდან შეთვისებული ანთროპონიმები დღესაც ადვილად
ითარგმნება სხვა ენებზე, რაც, უწინარეს ყოვლისა, იმის მანიშნებე-
ლია. რომ ისინი თიკუნის ტიპის სახელებისაგან მომდინარეობენ. ამის
ნიშნუებად შეიძლება დავასახელოთ: ა ლ ე ქ ს ი — თანაშემწე, ა ლ ე ქ-
ს ა ნ დ რ ე — ვაჟკაცური დახმარება (საბას მიხედვით: მწყემსი ზროხა-
თა), ა ნ დ რ ი ა — ვაჟკაცური (საბას მიხედვით: მწენე), ა ნ ა — ბარაქი-
ანი, ვ ი ქ ტ ო რ ი — გამარჯვებული, ბ ე ს ა რ ი ო ნ — მთაგორიანი,
გ ი ო რ გ ი — მიწისმოქმედი, გ ა ლ ი ნ ა — კაშკაშა, დ ი მ ი ტ რ ი —
მიწისნაყოფი, ე ლ ი ს ა ბ ე დ — ფიცი, ლ ა ვ რ ე ნ ტ ი — დაფნით
მჭრთული, ს ო ფ ი ო — ბრძენი, ი რ ი ნ ე — მშვიდობა, ე ლ ე ნ ე —
რჩეული, კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე — მაგარი...

დღევანდელი ტრადიციით ზოგი ანთროპონიმი ერთსა და იმავე

¹ ჩვენი ქართული ლექსიკოლოგია გვ. 116—117.

² ჩვენი: ქართული ხალხური ნოველა II, თბ., 1966, გვ. 320—332.

დროს სახელიც არის და თიკუნიც. თოკა, ჭუბო, მგალითად, ჩხოროწყუში საკუთარი სახელებია, ქსნის ხეობაში — თიკუნება, კუ-
და ხევსურეთში საკუთარი სახელია, ქართლში — თიკუნი, მწარია
ფშავეში სახელია, კახეთში — თიკუნი, ოღანე თუშეთში საკუთარი
სახელიცაა და თიკუნიც და მისა.

ზვირად ადამიანს რამდენიმე თიკუნს შეარქმევდნენ ხოლმე და ნამ-
დვილ სახელს შემდეგ მას აღარავინ ეძახდა.

მ. სახინჯარი ქართულ ანთროპონიმიში. თიკუნთა ნიადაგზე დამ-
კვიდრებული საკუთარი სახელები შემდეგ საფუძვლად დაედო გვა-
როვნულ სახელებსაც და მათ განშტოებებსაც.

გვაროვნული სახელი, მკვიდრი ნაწილი ქართული ანთროპონიმი-
ისა, აღრინდელი ფეოდალიზმის ეპოქაში ჩასახულა და VII—VIII სს.-
ში მისი ჩამოყალიბების პროცესი თითქმის დასრულებული ჩანს. თუ-
კი არეალური მეთოდით განვიხილავთ გვარებთან დაკავშირებულ კო-
მონიშთა სისტემას და დესკრიფციულად გავაანალიზებთ სტრატეგრა-
ფულ განასერში, ვნახავთ, რომ ანთროპონიმიის ეს შტო აღმოცენე-
ბულა საზოგადო სახელთა ნიადაგზე. საზოგადო სახელი ის წყაროა,
საიდანაც სათავე დაუდვია და მცირე ნაკადულების სახით გამოუყო-
ნავს ანთროპონიმიის. გვარი მიუღია ოჯახს ყველა მეთაურს სოცი-
ალური წარმოშობისა და წოდებრივი მდგომარეობის მიუხედავად.
გვარი იმთავითვე ჰქონიათ გლეხებს (ყმაგლეხებს, თავისუფალ გლე-
ხებს), აზნაურებს, თავადებს (მთავრებს), რელიგიური კულტის მსა-
ხურებს, ვაკრებს, ხელოსნებს, თავად მეფეებსაც. ერთადერთი მეფე-
თა შთამომავალნი და მალალი რანგის სასულიერო მოღვაწენი იწოდე-
ბოდნენ მხოლოდ სახელებით, დანარჩენი ფენები მოსახლეობისა გვა-
რებად იყვნენ დაყოფილნი. ბევრი უძველესი ქართული გვარის წარ-
მომავლობა და ლოკალიზება ისტორიული რეალიების მიხედვით ზუს-
ტადაა დადგენილი, ბევრისა კი შეიძლება მიახლოებით განისაზღვროს.
მაგრამ ამასთან ერთად ქართულ გვარებში ცოტა როდი გვხვდება იმის-
თანა ნიმუშებიც, რომელთა ლოკალიზება, მითუმეტეს ეთნიკური
კუთვნილებისა და წარმომავლობის დადგენა, ვერ ხერხდება.

ქართული გვარების წარმომავლობის შესახებ მდიდარსა და საინ-
ტერესო ცნობებს გვაწვდიან ქართლის ცხოვრების ქრონიკები და სხვა
საისტორიო წყაროები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია XVIII ს.-ის
ისტორიკოსისა და გეოგრაფოსის ვახუშტი ბაგრატიონის ინფორმა-
ცია, რომელიც წარმოდგენილია მის განთქმულ ნაშრომში „აღწერა
სამეფოსა საქართველოსა“ (დაიწერა 1745 წ.). ავტორს დამოწმებული
აქვს მთავართა (ქობულისძე, დონაური, მარუშიძე, კახაბერისძე, ბაკუ-
რისძე, ორბელიანი, ქაჩიბაძე, ვარდანისძე, გამრეკელი, მაგანისძე, ასა-

თისძე, ~~კარიჭისძე~~, ფარჯანიანი, კავკასიძე, ჭაყელი, ირუფაქისძე, ჩოლოყაშვილი, შარვაშიძე. ჭავჭავაძე (აბაზაძე, კორინთელი, მახატელი, არღუთაშვილი, ვოგობაშვილი, ნასიძე. როსტიშვილი, ზედგენიძე, სააკაძე, ელიოზაშვილი და ა. შ.)². მათთვის აღნიშნული აქვს მათი ძირითადი ნაწილის წარმომავლობა და განლაგება მხარეთა რეგიონების მიხედვით (ქართლი, კახეთი, სამცხე, იმერეთი, რაჭა, ოდიში, სვანეთი, აფხაზეთი, გურია)³. ამ გვართა ძირითადი ნაწილი დღესაც ცოცხლობს და საკმარისად მრავალრიცხოვანია (მაგ., ქობულაძე, დონაური, კახბერიძე, ბაკურიძე, ორბელიანი. ჭაჩიბაძე, გამრეკელი, ძაგაძე, კავკასიძე, ჭაყელი, ჩოლოყაშვილი, შარვაშიძე, ჭავჭავაძე, აბაზაძე, კორინთელი, მახატელი, ვოგობაშვილი, რატიშვილი, ზედგენიძე, სააკაძე, ელიოზაშვილი და სხვ.). ვახუშტი ბაგრატიონს გვჩვენებს გვარები არ დაუსახელებია სიმრავლის მიზეზის გამო და აზნაურთა გვარების მხოლოდ ნაწილი აღურიცხავს, რადგან ყველას დასახელება შეუძლებელი იყო, „აზნაურნი მრავალნი არიან, სოგრძისათჳს დავიდუმნეთო“⁴. მაგრამ ამ ცნობებთან ერთად ჩვენს ყურადღებას იქცევს ვახუშტი ბაგრატიონის შენიშვნა ცალკე გვართა წარმომავლობისა და თავდაპირველ წყაროთა გარშემო. ავტორს მიაჩნია, რომ ჩოლოყაშვილი და მახატელი ირუფაქისის განშტოებაა: „იტყვიან ირუფაქიძობასო“, ბართაშვილი ჭაჩიბაძის, ყაფლანიშვილი ორბელიანის განშტოებებად მიაჩნია და ა. შ. მეცნიერს სხვა რამ არ უთქვამს, მაგრამ აქედანაც შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ იგი გვაუწყებს არამართო იმეამად ცოცხალ გვართა, არამედ ქვეგვართა ტრადიციასაც.

ქართულ გვართა სტრუქტურა და შედგენილობა სამეცნიერო ლიტერატურაში ფართოდაა განხილული. ამ საკითხებზე თავიანთი აზრები აქვთ გამოთქმული ნ. მარს, ივ. ჭავჭავაძე, ნ. ბერძენიშვილს, ს. ჭანაშიას, ა. შანიძეს, ს. ჭიჭიას, ს. ყაუხჩიშვილს, ილ. მაისურაძესა და ახვ. უკანასკნელმა ავტორმა კი ამ პრობლემას რამდენიმე სტატია და ბოლოს, მთელი მონოგრაფია უძღვნა⁵.

ჩვენი მიზანი უფრო შემოფარგლულია. გვინდა გამოვარკვიოთ ვ. ბაგრატიონის მიერ ყრუდ აღნიშნული საკითხის რეალურობა, ვაჩვენოთ გვარში გაჩენილ განშტოებათა აღმოცენების გზები და ადგილი

¹ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, „ქართლის ცხოვრება“, IV, ს. ყაუხჩიშვილის ზედ., თბ., 1973, გვ. 27—28.

² იქვე, გვ. 35.

³ იქვე, გვ. 35—37.

⁴ აქვე, გვ. 35.

⁵ ი. ს. ნ. უ. რ. ა. ძ. ქართული გვარსახელები, თბ., 1981.

როგორც ანთროპონიმიში, ისე ტოპონიმიშია. გვარები მიჩნეული გვაქვს მიკროანთროპონიმიის დონის, განტოებები — მეზოანთროპონიმი და დონისა, ხოლო მსხვილი და გავრცელებული გვარები — მაკროანთროპონიმი და დონის შესატყვისებად.

გვარს დროთა განმავლობაში გასჩენია გამონაყოფი, განტოება. გვარი ერთია, გამონაყოფი — რამდენიმე. განტოებები, უპირველეს ყოვლისა, მრავალრიცხოვან გვარებს შემორჩათ, უნდა ჰქონოდათ კი გვართა დიდუმეტესობას. ტრადიცია საერთო-ქართულია. ქართულ გვარებში ეს პროცესი ძველთაგანვე პროდუქტიული ყოფილა, რასაც დიაქრონიულ მონაცემებთან ერთად ენის სინქრონიული მდგომარეობაც ადასტურებს. ივ. ჯავახიშვილს ერთ გამოუქვეყნებელ ნაშრომში აღნიშნული აქვს: „ძველ საქართველოში წესად ჰქონდათ, რომ, საგვარეულო სახელებს გარდა, გვარის სხვადასხვა შტოების გასარჩევად კიდევ დამატებით სახელწოდებასაც ურთავდნენ ხოლმე. ჩვეულებრივ ასეთი განმასხვავებელი სახელწოდება ან პაპის მამის, ანდა პაპის სახელისაგან იყო ხოლმე ნაწარმოები. ძველი ქართველი ხალხის აღწერის დავთრებითგან ჩანს, რომ არა ერთს შემთხვევაში ასე განსხვავებული სახელწოდება შემდეგში გვარის სახელადაც კი ქცეულა“¹. ჩვეულებრივ, განტოებას გვარის (ოჯახის) მეთაურის საკუთარი სახელი ან მეტსახელი (თიკუნი) უძევს საფუძვლად. გვარის მეტსახელური განტოება საერთო-ქართველური მოვლენა ყოფილა. ჩოლოყაშვილისა და მაყაშვილის წინაპარი, როგორც ვ. ბაგრატიონის ცნობები გვარწმუნებენ, ი რ უ ფ ა ქ ი, ძველქართული ანთროპონიმთ (სახელი ან მეტსახელი), ყოფილა. ი რ უ ფ ა ქ ი ს ა გ ა ნ კ ი გვაქვს ი რ უ ფ ა ქ ი ს ძ ე || ი რ უ ბ ა ქ ი ს ძ ე.

ხველაზე რელიეფურად ეს მოვლენა ამჟამად შემონახულია ქართული ენის ქიზიყურ დიალექტში (სიღნაღისა და წითელწყაროს რაიონების მცხოვრებთა ყოფასა და მეტყველებაში)². აქ გვარიდან აღმოცენებულია გამონაყოფი, ქვეგვარი, რასაც საუბნო გვარი ეწოდება. ამის შესატყვისია ქართლური დიალექტის კილოკავებში გავრცელებული სიტყვა სახინჯარი (ხინჯ, მახინჯ ლექსემიდან). ანაგაში (სიღნაღის რ.) დღეს ერთ-ერთი ცნობილი გვარი მირიანაშვილი (წარმოქმნილი მირიან ნასესხებ ანთროპონიმზე ა მაკინებელი ელემენტისა და გვარსახელთა ჩვეულებრივ საწარმოებელ შვილ ლექსემის დართვით) სხვა რეგიონებშიც (სოფლებში, დაბებ-

¹ ილ. დლოტი. ქართველური საკუთარი სახელები, ანთროპონიმი ლექსეონი. იპნ. 1967, „ჯგუა“. გვ. 163-164. აქვე, გვ.

² დაწვრილებით: ილ. დლოტი. ქიზიყის ტოპონიმი, თბ., 1982, გვ. 22-28.

ში, ქალაქებში) გეხვდება, მაგრამ აქ უფრო კომპაქტურადაა დასახლებული და ფართო ტერიტორიაზეცაა განლაგებული. ამ გვარის მატარებელნი დღეს არიან კოლმეურნენი, მუშები, მეცნიერების, კულტურისა და განათლების მოღვაწენი. თავად ანაგაში ცხოვრობს მირიანაშვილთა რამდენიმე ოჯახი, რომლებიც ნათესაობის სხვადასხვა დონეზე დგანან და მათ ნათესაობას ფესვები მეტად შორეულ წარსულში აქვთ გადგმული. სოფელი კარგად არჩევს მათი ნათესაობის დონეებს, მაგრამ, ამასთან, მირიანაშვილის გვარის ყველა გამონაყოფს (კომლს) აქვს თავისი სახინჯარი, რომელიც მომდინარეობს კომლის წინაპრის (ფუჭემდებლის) მეტსახელისაგან (ზოგჯერ ოფიციალური სახელისაგანაც). ასეთებია, მაგალითად, გოდორაანთი, სოლოაანთი, ლაყიაანთი, ნალბანდიაანთი, ნონიაანთი, პაშტიანთი, რუთიაანთი, ცივკვერაანთი, წიწუაანთი, ჭინჭრაკაანთი, ჭიბიაანთი. პასპორტის მიხედვით ყველა მათგანი მირიანაშვილია, მაგრამ თანასოფლელები მათ პირველყოვლისა სახინჯარის მიხედვით არჩევენ. გოდორაანთი მომდინარეობს მირიანაშვილის გვარის იმ განტოტებისაგან, რომლის წინაპრის მეტსახელი გოდორა (დაბალი, მუცელგამობერილი დიდი კალათი) ყოფილა. გოდორა მოტივირებული მეტსახელია. მისი მატარებელი, ირკვევა, გოდორივით დაბალი, მსუქანი, მუცელგამობერილი ყოფილა და მეტსახელიც სიმსუქნე-სიდაბლის მიხედვით შერქმევია. ამჟამად სოფელმა არ იცის ამ წინაპრის ვინაობა, არც მისი ასაკი, არც ის, ნამდვილად იყო თუ არა ქვეყნად ამისთანა კაცი. მხოლოდ გვარის განშტოების სახინჯარი მოწმობს მის რეალურობას. ასევე მოტივირებულია სხვა სახინჯარიც: ლაყიაანთი (ამ განტოტების მეთაურის მეტსახელი არის ლაყე), ნალბანდიაანთი (-მეტსახელი ნალბანდი), პაშტიანთი (-მეტსახელი პაშტა, პაშტარა), ცივკვერაანთი (-მეტსახელი ცივკვერა), ჭინჭრაკაანთი (-მეტსახელი ჭინჭრაკა), ჭიბიაანთი (-მეტსახელი ჭიბია, სულ ჭიბეში რომ აქვს ხელი ჩაყოფილი), წიწუაანთი (-მეტსახელი წიწუა), ნონიაანთი (-სახელი ნონია), რუთიაანთი (-სახელი რუთი). ჩამოყალიბებულია სახინჯართა მთელი სისტემა. ზოგი სახინჯარი ძველთაძველია — შექმნილი ათობით, ეგების ასობით წლის წინათ, ზოგიც — ახალი, წარმოქმნილი ჩვენს დროს. სახინჯართა შექმნის პროცესი არ დამთავრებულა, ახლაც გრძელდება. ამ მიზნით გამოყენებულია სალიტერატურო ენისა და დიალექტთა ლექსიკის დიდი შესაძლებლობანი.

ჩვენ დაუასახლეთ ერთი მაგალითი, მაგრამ სახინჯარი ამ რეგიონის გვართა დიდ უმეტესობას აქვს. იმავე ანაგაში მოსახლე ალხანა-

შვილებს სამი განტოტება აქვთ: მუწაკაანთი, ნაცარაანთი და ქედაანთი. მუწაკაანთა წინაპრის მეტსახელი მუწაკა ყოფილა, ნაცარაანთა — ნაცარა, ქედაანთა — ქედა. სოფელში ამის მიხედვით შექმნილია უბნები: მუწაკაანთი || მუწაკაანი, ნაცარაანთი || ნაცარაანი, ქედაანთი || ქედაანი. ორიენტირად აღებულია არა გვარი (სამივე მათგანის გვარი აღზანაშვილია), არამედ სახინჯარი.

ქიზიყის დასახლებულ პუნქტებში განლაგებულ მრავალ გვარს ამჟამად აქვს განშტოებები (სახინჯარნი), თანაც სწორად რამდენიმე, და უბნებში გამოყოფილია ქვეუბნები, მიკროუბნები. სახინჯარის საფუძველი, როგორც ითქვა, წინაპრის საკუთარი სახელი ან (უპირატესად) მეტსახელია. დაეიმოწმოს ამის კიდევ რამდენიმე ნიმუში, რომელიც ადგილზეა ჩვენს მიერ გამოვლენილი 1979 წლის ზაფხულში მოგზაურობისას.

ანავაშივე ანდრაზაშვილის სახინჯარებია მექუდაანთი (იგულისხმება წინაპრის მეტსახელი მექუდე) და წაწალაანთი (იგულისხმება წინაპრის მეტსახელი წაწალა), ასევე გოგილაშვილისა — გორკაანთი, გრუზაანთი, ეფროაანთი, მალაქოაანთი, რწყილტყავიაანთი, ტიმოთეაანთი, ფეტვიანთი და წინკაანთი. სოფ. ოზანში (წითელწყაროს რ.) მეზრიშვილის სახინჯარებია: თიბელაანთი, წუწკუაანთი, წუწკანაანთი და ჯოღუაანთი; ოზაშვილისა — თეთრანთი, კაკაკაანთი, სტალარიაანთი, ფოთოლაანთი, ქუხარაანთი, ჯუბაანთი და ა. შ.

სხვადასხვა დასახლებულ პუნქტში მცხოვრებ ერთისა და იმავე გვარის განტოტებებს, თუ ეს განტოტება აღმოცენდა ახალ ადგილას დასახლების შემდეგ, სახინჯარიც სხვადასხვა აქვთ. მაგ., ვაქირელი იასეშვილების სახინჯარებია არტემიაანთი, გიორგელაანთი, კაკაანთი, კოკლუაანთი, კოხიაანთი, ლეკურაანთი, სეურაანთი, ყაქაანთი, ჩიკრიკულაანთი და ჩხუბაანთი; მაშნაარელი იასეშვილებისა კი — თავფქვილაანთი; ასევე: ანაგელი მაისურაძეების სახინჯარია ბუჭყიაანთი; ვაქირელთა კი — გირვანქიაანთი და დავლაქიაანთი; შულახეველ ნიკვაშვილებისა — ბეილაანთი, მღებრიაანთი, სეონიაანთი და სწორაანთი; გოდაქნელთა ნიკვაშვილებისა კი — ეთერაანთი, ზაზაანთი, მოსელაანთი, ნესტორაანთი, პეტრიაანთი და სწორაანთი; ვიქირელი ნიკვაშვილებისა — ტიგრაანთი; მაშნაარელი ნიკვაშვილებისა — ნაკვაურაანთი და ა. შ.

როდესაც გვარი ან მისი განაყოფი (ქვეგვარი) საცხოვრებელ ადგილს იცვლის, სახინჯარიც დავიწყებდას ეძლევა და ტოპონიმიც იკარგება. თუ გვარი ერთ ადგილასაა ლოკალიზებული, სახინჯარი მემკვიდრეობით შთამომავლობას გადაეცემა. ცოცხლობს სახინჯარიცა და ამ სიტყვით გადმოცემული მიკროტოპონიმიც.

მეტსახელი (თიკუნი) ინდივიდუალური წარმოშობისაა და ადამიანს შეერქმევა კონკრეტულ გარემოებათა წყალობით. თითოეულ მეტსახელს უპირატესად ობიექტური მოტივაცია ახლავს. მიუხედავად ამისა მეტსახელის მატარებელი პირის ფიზიკური სიკვდილი ყოველთვის. არ იწვევს თავად მეტსახელის გაქრობას. პირიქით. დიდი ნაწილი სახინჯარად გადასული მეტსახელებისა საგვარეულოა და გვარში მთლიანად თაობიდან თაობას მემკვიდრეობით გადაეცემა ხოლმე. ამის უდავო მოწმე ქიზიყის დღევანდელი ანთროპონომიაა. ამიტომ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული აზრი, რომ მეტსახელი ინდივიდუალური მოვლენაა და მისი მატარებელი ადამიანის სიკვდილის შემდეგ ისიც გამოდის მწყობრიდანო, მართებულად ვერ მიიჩნევა. ყოველ შემთხვევაში ქართული (ქიზიყური) მასალა ამ შეხედულებას არ ადასტურებს. როცა ადამიანი კვდება და მემკვიდრე არ რჩება, მისი გვარიცა და მეტსახელიც წყვეტს არსებობას. მაგრამ როცა მეტსახელი გადასულია სახინჯარში, მაშინ კომლის უფროსის სიკვდილის შემდეგ ის არ წყვეტს არსებობას, ცოცხლობს კომლთან ერთად, მეტსახელი კომლს მემკვიდრეობით რჩება და მასთან ერთად ცოცხლობს. ე. ი. მეტსახელი იძენს სოციალურ ღირებულებას და ყოფიერებას განაგრძობს.

მეტსახელი ქიზიყის რეგიონში ამჟამად ორი სახისაა. ერთი ახასიათებს ცალკე პირს, ერთეულ ადამიანს და ცნობილია საზოგადოების მეტად ვიწრო წრისათვის; გვაჩვენებს ერთი პირის ინდივიდუალურ ნიშან-თვისებებს. მსგავსი ნიშან-თვისებები სხვა პირის ქცევაშიაც შეიძლება დავინახოთ, მაგრამ ერთი ადამიანის მეტსახელი მეორეზე არ გადადის. კვდება ამისთანა პირი და კვდება მეტსახელიც. იშვიათად შეიძლება აღორძინდეს, მაგრამ აღორძინდება როგორც აპულატივი და არა როგორც მეტსახელი. მეტსახელთა მეორე რიგს შეადგენს სახინჯრები, რომლებიც, მართალია, წარმოშობით პირთა ინდივიდუალურ კუთვნილებას შეადგენენ, მაგრამ მათი ფარგლები გაფართოებულია, მთელი ოჯახის (კომლის) საკუთრებად გვევლინებიან. ოჯახის (კომლის) უფროსის მეტსახელი ამისთანა შემთხვევაში მემკვიდრეობით გადაეცემა შვილს, მთელ ოჯახს. სახინჯარი იძენს სოციალურ მნიშვნელობას და გვარის განტოტებად იქცევა. ოჯახი (კომლი) იყოფა,

მაგრამ სახინჯარი მიპყვება განაყოფს. სახინჯარი ინდივიდუალური მეტსახელი აღარაა, კოლექტიურია, გვარის განტოტებაა, ქვეგვარია.

პირველი რიგის მეტსახელი საყოველთაოდ ცნობილია. დადატურებულია მრავალი ხალხის ყოფაში. მდიდრულადაა აგი ასახული ქართულ ყოფა-ცხოვრებაშიაც. კ. შ. მიკაილოვი სწორად ამბობს: «Прозвище — сугубо индивидуально. Оно не распространяется на родственников (даже ближайших) или потомков посетителя его, но может служить в качестве апелляции для образования как имени личного, так и фамильного или тухумского названия»¹.

სახინჯარი სხვაა. სახინჯარი მამის მხრით გადაეცემა შემკვიდრებით შვილს და გვარის განშტოებას ქნის. ამიტომ ის აღარაა ინდივიდუალური მოვლენა. ბევრი გვარ-სახელი სახინჯარის მიხედვითაა განვითარებული. ამ მოვლენას კარგად იცნობს ქართული ანთროპონიმია².

საინტერესო დაკვირვებიდან, რომელიც ყუბანის რუსული კილოთქმების მეტსახელებზე ჩაუტარებია კ. ა. ფლოროვსკაიას, ირკვევა, რომ ზოგიერთი ცალკე «Прозвища выступают в функции фамилии»³, მაგრამ ისინი სულ სხვა წარმომავლობის მოვლენებია. სახინჯარი სხვა ხალხებში, რამდენადაც ჩვენ ვიცით, იმ სახით, რა სახითაც ქართველურ ტომებშია შემონახული, არა ჩანს. იმ ტომებში კი, რომელთაც გვარები არ ჰქონდათ უკანასკნელ ხანებამდის, ეს პროცესი უფრო ინტენსიური უნდა ყოფილიყო. ჩვენი დაკვირვებით, როგორც უკვე ითქვა, დიდი ნაწილი გვარსახელებისა, რომლებიც გვიან გაჩნდა როგორც ენობრივი ფაქტი, საკუთარი სახელიდან ან მეტსახელიდან მომდინარეობს. ეს პროცესი ქართველ ტომებსაც გაუვლიათ, მაგრამ გაუვლიათ აღრე, გვარების ჩამოყალიბებამდის, VI—VIII სს.-ზე აღრე, რადგან ამ ეპოქისათვის გვარების ჩამოყალიბება ძირითადად დამთავრებული ჩანს. სხვანაირად ვერ აიხსნება იმისთანა ძველი გვარების წარმოშობა, როგორიცაა ქართ. ფეხშველაშვილი, კატაპარიაშვილი, ფეხმოჭრილაშვილი, ნასყიდაშვილი, ცაციაშვილი, მეყანწიშვილი, მეცხვარიშვილი... ფეხშველა, კატაპარია, ნასყიდა, ცაცია, მეყანწე, მეცხვარე და მისთ. მეტსახელები ათობითა და ასობით ვრცელდებოდა ხალხში, ბევრი მათგანი საკუთარ სახელთა დონეზეც ავიდა და ასე

¹ К. А. Микаилов. Об аварских прозвищах. «Ономастика Кавказа», Махачкала, 1976, 306.

² ალ. დლოტი. ქართველური საკუთარი სახელები, თბ., 1967, გვ. 24—26; მისივე: ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, თბ., 1971, გვ. 153—155; 166—174.

³ В. А. Флоровская. Прозвища в русских говорах в Кубани, «Ономастика Кавказа», Махачкала, 1976, 304.

აღმოცენდა გვარსახელები. ამჟამად ეს გვარები ფართო პოპულარობით სარგებლობენ, მაგრამ წინაპართა მეტსახელებს იშვიათად თუ იცნობენ. ჩვენ ეს მოვლენა არ მიგვაჩნია ლოკალურად, ის მრავალი ხალხისა და ტომის ეთნოგრაფიული ყოფისათვისაც ორგანულად უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი. ასე უნდა იყოს წარმოქმნილი ისტორიულად სახელი და გვარსახელი, მთელი ტრადიციული ანთროპომიძია.

ქართველი ტომების ისტორია, ქართული ენის კილო-თქმების მონაცემები გვეუბნებიან, რომ სახინჯარი ადრე უნდა გაჩენილიყო და იგე საერთო ქართული მოვლენა უნდა ყოფილიყო.

ბუნებრივად იბადება კითხვა: რამდენად მიზანშეწონილია საუბნო გვარის ტოპონიმად მიჩნევა? სახინჯარი, საუბნო გვარი, გვარის განტოტება თავისი შინაგანი და გარეგანი ნიშან-თვისებებით არის თუ არა ტოპონიმი? როგორც ცნობილია, ტოპონიმი ადგილის სახელია. რამდენადაც უბანი ან მისი ნაწილი (ქვეუბანი) გვიჩვენებს სწორედ დასახლებული პუნქტის ადგილს, ბუნებრივია, იგი ტოპონიმად უნდა მივიჩნიოთ, ხოლო როდესაც უბანს ან მის ნაწილს (ქვეუბანს) ქმნიან გვარი და მისი განტოტებანი (განაყოფები), ისინიც ტოპონიმებია ყველა ნიშნის მიხედვით. ან ა გ ის, როგორც ზემოთ ითქვა, მიკროტოპონიმებად უნდა მივიჩნიოთ მ უ წ ა კ ა ა ნ თ ი, ნ ა ც ა რ ა ა ნ თ ი, ქ ე დ ა ა ნ თ ი ისევე, როგორც მიკროტოპონიმი თ ა ვ ა დ ა ლ ხ ა ნ ა ა ნ თ ი, რომლის განტოტებასაც ეს სამი ერთეული (მ უ წ ა კ ა ა ნ თ ი, ნ ა ც ა რ ა ა ნ თ ი, ქ ე დ ა ა ნ თ ი) წარმოადგენს.

მასალის ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ:

1. გვაროვნული სახელი, როგორც ენობრივი და სოციალური ფენომენი, ქართველ ტომებში ადრინდელი ფეოდალიზმის ეპოქაში ჩასახულა და VII—VIII სს.-ში მისი ჩამოყალიბების პროცესი თითქმის დასრულებული ჩანს. გვარი მიუღია ოჯახის ყველა მეთაურს (შემდეგ ოჯახის თითოეულ წევრსაც) სოციალური წარმოშობისა და წოდებრივი მდგომარეობის მიუხედავად. ბევრი უძველესი ქართული გვარის ჩამომავლობა და ლოკალი (განლაგების არეალი) ისტორიული რეალებისა და წყაროთა მიხედვით ზუსტადაა დადგენილი, ბევრისა კი მიახლოებითაა განსაზღვრული ან ჭერხნობით სრულად განუსაზღვრელიცაა. მწიგნობრობის წყაროთა მიხედვით შეგვიძლია თვალი მივადევნოთ ქართული გვარების განვითარებას ისტორიის გრძელ მანძილზე. ჩვენს ხელთ არსებული მასალა მოწმობს არა მარტო გვაროვნულ სახელთა დიდ ტრადიციას, არამედ ქვეგვართა, გვარების განშტოებათა, რაც ტოპონიმებსაც უკავშირდება, უძველეს ტრადიციასაც.

2. ქართულ საზოგადოებრივ ყოფაში ქვეგვარები აღმოცენებულა გვარის მეთაურთა მეტსახელის სემანტიკის გაფართოების საფუძველზე. მეტსახელიდან განვითარებულა გვართა განშტოებები, რომლებიც ბევრ შემთხვევაში მემკვიდრეობით (მამისგან შვილზე) გადასულა ან დანაოუკიდებელ გვარსახელადაც ჩამოყალიბებულა ქვეგვარების საფუძველი. სახინჯარია, რომელიც ქართველურ ტომებში აღრიდანვე ფართოდ ყოფილა გავრცელებული, შემონახულა კილო-თქმებში, ხოლო ამჟამად ქართული ენის კილო-თქმებიდან ყველაზე პროლეტარულად ქიზიყურს დაუცავს, თუმცა ის არც სხვა კილო-თქმებისათვისაა უცხო (დასტურდება ქართლურში, რაჭულში, აჭარულში, მთის კილოებში). სპეციალურ ლიტერატურაში სწორადაა ხაზგასმული, რომ ბევრ ქართულ გვარს გასჩენია განაყოფი, განშტოება. გვარი ერთაა, განშტოება — მრავალი. განშტოებას უპირატესად გვარის (ოჯახის) მეთაურის საკუთარი სახელი ან მეტსახელი (თიკუნი) უძევს საფუძველად. გვარის მეტსახელური განტოტება (სახინჯარი) საერთო-ქართული მოვლენაა.

3. ქიზიყის რეგიონში განლაგებული მრავალი გვარის განშტოებების (სახინჯართა) მიხედვით დასახლებულ პუნქტთა უბნებში აღმოცენებულა ქვეუბნები, რომლებიც დღეს მიკროტომონიშთა ფუნქციასაც ასრულებენ. სხვადასხვა დასახლებულ პუნქტში ერთისა და იმავე გვარის განშტოებებს, თუ ეს უკანასკნელი ახალ ადგილზე დასახლების შემდეგ აღმოცენდა, სახინჯარიც სხვადასხვა აქვთ. როდესაც გვარი ან მისი განაყოფი (ქვეგვარი) საცხოვრებელ ადგილს იცვლის და სხვა გვართა გარემოცვაში ექცევა, სახინჯარიც დავიწყებას ეძლევა და ტომონიმიც იკარგება. თუკი გვარი ერთ ადგილასაა ლოკალიზებული, მაშინ სახინჯარი მემკვიდრეობით გადადის, მამის მხრით შთამომავლობას გადაეცემა: ცოცხლობს სახინჯარიცა და ამ სიტყვით გამოცემული ტომონიმიც.

4. მეტსახელი ამჟამინდელ ქართულ ყოფაში ორი სახით ფუნქციონირებს. ერთი ახასიათებს ინდივიდს და ცნობილია საზოგადოების მეტად ვიწრო წრისათვის, გვაჩვენებს ერთი პირის (ინდივიდის) ნიშან-თვისებებს. მსგავსი ნიშან-თვისებები შეიძლება სხვა პირის ქცევაშიაც დავინახოთ, მაგრამ ერთი პირის მეტსახელი მემკვიდრეობით მის შთამომავლობაზეც არ გადადის, კვდება ინდივიდი და კვდება მისი მეტსახელიც. თუკი, იშვიათად მაინც, ის აღორძინდება, აღორძინდება როგორც აპელატივი და არა როგორც თიკუნი. მეტსახელთა მეორე რკალს ქმნიან სახინჯარები, რომლებიც, მართალია, წარმოშობით პირთა (ინდივიდუუმთა) კუთვნილებას შეადგენენ, მაგრამ მათი სემანტიკა

ქური ფარგლები გაფართოებულია, მთელი ოჯახის (კომლის) საკუთრებად გვევლინებიან. ოჯახის (კომლის) უფროსის მეტსახელი (სახინჯარი) ამისთანა შემთხვევაში მემკვიდრეობით გადაეცემა შთამომავლობას. სახინჯარი იძენს სოციალურ მნიშვნელობას და კანონზომიერად გვარის განშტოებად იქცევა. სახინჯარი აქ უკვე „ინდივიდუალური მეტსახელი“ აღარაა, კოლექტიური სახელია, გვარის განშტოების აღმნიშვნელია, ქვეგვარია ყველა ნიშნის მიხედვით. ამისთანა შემთხვევაში, ჩვეულებრივ, სახინჯარი მიკროტომონიმის ფუნქციას ასრულებს, ეტოლება გვარს, ე. ი. სახინჯარის სემანტიკური ფუნქცია ფართოვდება. ეს პროცესი, ახლა რომ ქართულ კილო-თქმებში აქა-იქაა შემორჩენილი, ისტორიულად უფრო არეალური, საერთო-ქართული კანონზომიერი მოვლენა უნდა ყოფილიყო.

